ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 29 ნოემბერი, 2021 | №225 (8754) | ფასი: 60 თეთრი

## მწვანე ბარათი საზოგადოებრივ ტრანსპორტში აუცილებელი იქნება?

გვ.3




# „მჯერა, რომ სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს შეიწყალებს“



მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს თუ უნდა, პოლიტიკურად გადარჩეს, ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოს“

გვ.4



გვ.2



## „სააკაშვილის ფანჯარასთან დგას მანქანა, რომელიც სიცოცხლისთვის სახიფათო ტალღებს ასხივებს“



გვ.3

## „ქართული ოცნება“ არ ენდობა ამ სასამართლოს და სააკაშვილი რატომ უნდა ენდოს?!“

ანზორ ბიწაძე: „1937 წელს არ ყოფილა შემთხვევა, რომ სასამართლო პროცესზე არ დაესწროთ ის ადამიანი, რომელსაც თუნდაც ხვრეტდნენ“

## ნატოს მინისტერიალზე უკრაინასთან ერთად საქართველოზეც ისაუბრებენ



იქნება თუ არა ომი უკრაინაში?

გვ.4

## „მიშას თავისუფლების ერთ-ერთი გასაღები არჩევნებია. მაკვირვებს ნაციონალების პოზიცია“

აკაკი ბობოხიძე: „ხელისუფლების შესაცვლელად 100.000-იანი პარტიული აქტივი არ კმარა, რომლებსაც ერთი სული აქვთ, სახლში დაბრუნდნენ“



გვ.2



## მოსამართლე ორკოდაშვილი: „სააკაშვილს სხდომაზე თუ არ მოიყვანენ, სასამართლო არ ჩატარდება“

გვ.5

## საქართველოს უნივერსიტეტს ცეცხლი წაეკიდა



ISSN 1987-9385

**5** ტყიბულის მაღაროში ნახშირის მასამ 2 ადამიანი მოიყოლა

**2** ორსული მაკა ქაჩლიშვილი კოვიდით გარდაიცვალა — ახალშობილი ექიმებმა გადაარჩინეს

**3** პროკურატურა „ტვ პირველისგან“ ბოდიშს ითხოვს

**6** ისრაელი უცხოელებისთვის მთლიანად დაიკეტა

# „მიშას თავისუფლების ერთ-ერთი გასაღები არჩევნებია. მაკვირვებს ნაციონალების პოზიცია“

## აკაკი ბობოხიძე: „ხელისუფლების შესაცვლელად 100.000-იანი პარტიული აქტივი არ კმარა, რომლებსაც ერთი სული აქვთ, სახლში დაბრუნდნენ“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ გახდა საჭირო 10-პუნქტიანი ხედვის წარდგენა და რა პასუხი აქვთ იმაზე, რომ ოპოზიციის ოპოზიციონერობას ცდილობენ? უერთდებიან თუ არა იდეას — „თავისუფლება მიშას“ და რა შეცდომებს ხედავენ ოპოზიციის მოქმედებებში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე საუბრობს.

*— წარადგინეთ კრიზისიდან გამოსასვლელი 10-პუნქტიანი გეგმა. ოპოზიციაში გიპასუხეს, კერძოდ კი ანა ნაცვლიშვილმა. თქვა, რატომ სურს გიგა ბოკერიას ოპოზიციაში ყოფნა და, თუ რამე აქვთ სათქმელი, მედიიდან გადაძახილით კი არ უნდა გვესაუბრონ, არამედ დაგვირეკონო. რა პასუხი გაქვთ?*

— პირველი, ეს გეგმა არ არის, ეს ხედვაა. მე მგონია, რომ არა მარტო „ევროპულმა საქართველომ“, არამედ ყველამ უნდა წარმოადგინოს ეს ხედვები, რათა მოქალაქეებმა შეძლონ შედარება. ჩვენ გადაძახილიც გვაქვს, გადმოძახილიც, ერთმანეთსაც ვუზიარებთ აზრებს, მაგრამ ერთია აზრების გაზიარება და მეორე — რაზე შევძელით და რაზე ვერა შეთანხმება. წარმოვადგინეთ ხედვა. საერთოდ არ მესმის ოპოზიციის ოპოზიციონერობა. ოპოზიციაში უნდა იყო ყველასთან, ვისზეც მიიჩნევ, რომ არასწორად მოქმედებს, მაგრამ ამას რატომ ჰქვია ოპოზიციის ოპოზიციონერობა, არ ვიცი.



თუ ვინმემ დაინახა, რომ ჩვენი ხედვები მათთან წინააღმდეგობაში მოდის, მაშინ გამოდის, რომ ისინი არიან ჩვენს ხედვებთან ოპოზიციაში. ასე რომ, ქალბატონ ანას, ჩემი აზრით, შეცდომა მოუვიდა.

*— რამდენიმე მნიშვნელოვანი პასაჟი იყო ამ ხედვაში. მე პირადად ასე მენიშნა, რომ დღეს ოპოზიცია არასწორ გზაზეა. ასე თვლით?*

— ამბობთ, მნიშვნელოვანი პუნქტიო. ე.ი. კარგია, თუ მნიშვნელოვანია. თუ ეს მნიშვნელოვანი პუნქტები რაღაც თვალსაზრისით შეუსაბამობაშია ვინმეს მოქმედებასთან, ე.ი. ის ვინმეც გარკვეული თვალსაზრისით შეცდომებს უშვებს და ეს ყველაფერი ჩემი არა, თქვენი დასკვნებია. თუ ასეთი დასკვნების საფუძველს იძლევა ვინმეს მოქმედება, გამოდის, რომ მინიმუმ ჩემი და თქვენი აზრით ის ვინმე გარკვეულ შეცდომებს უშვებს.

*— არა, შეცდომები რომ არის ოპოზიციაში, ამაზე არც ვდავობთ. შეცდომები რომ არ ჰქონდეს ოპოზიციას, „ოცნება“, რომელიც საკმაოდ დასუსტებულია, დღეს არც უნდა იყოს ხელისუფლებაში, გაყალბებისა და მანიპულაციების მიუხედავად.*

— მთლად ვერ დაგეთანხმებით. რა გამოდის, 100%-ით რომ გააყალბოს ხელისუფლებამ შედეგები, მაინც ოპოზიციის ბრალი იქნება?!

*— არა, ოპოზიციის ბრალი კი არ იქნება, ოპოზიციის შეცდომებისაც-მეთქი და ვსაუბრობ დღევანდელ ვითარებაზე.*

— შეცდომების მაგ ნაწილზე არ ვსაუბრობთ ჩვენ, რომ მხოლოდ ოპოზიციის შეცდომებს ვაბრალებდეთ, რატომაც შეძლო ხელისუფლებამ გაყალბება. ერთია, რომ აყალბებს ხელისუფლება, მაგრამ ის, რომ მან შეძლო და შეინარჩუნა გაყალბება, ეს, სამწუხაროდ, იმას ეფუძნება, რომ ხელისუფლებას გაყალბების გარეშეც საკმაოდ აქვს ელექტორალური მხარდაჭერა იმისთვის, რომ მან შეინარჩუნოს გაყალბება, რადგან ის ფლობს ადმინისტრაციულ ძალაუფლებას.

მაგალითად, 2003 წელს შევარდნაძემ გაყალბების გზითაც კი მხოლოდ 23%-ის მიღება შეძლო. წარმოგიდგენიათ, რამდენად მცირე იყო მისი ელექტორალური მხარდაჭერა, რომ 23%-მდე ავიდა თავისი გაყალბებიანად. იმდენად სუსტი იყო, გაყალბების შენარჩუნება ვერ შეძლო. სამწუხაროდ, ხელისუფლებას აქვს იმხელა ელექტორალური მხარდაჭერა, რომ მას დამატებული ადმინისტრაციული რესურსი და ფინანსები იძლევა არჩევნების იმ დოზით გაყალბების შესაძლებლობას, რომ ხელისუფლებამ შეძლოს და შეცვალოს ამომრჩევლების ნება. მეორე, ძალთა თანაფარდობა არ იძლევა შესაძლებლობას, ხელისუფლებას ეს გაყალბება არ შევარჩინოთ.

აქედან გამოსავალი ერთადერთია, რომ ხელისუფლების მხარდაჭერა დავიყვანოთ იქამდე, როდესაც ის გაყალბებას ვერ შეძლებს. ვგულის-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ღარიბაშვილს პრემიერობიდან უშვებენ

## ივანიშვილმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო

პრემიერი კაბინეტის დასაცლელად ემზადება. ივანიშვილმა პოლიტიკიდან გაშვებული და შემდეგ მობრუნებული ღარიბაშვილის ისევ გაშვების გადაწყვეტილება უკვე მიიღო. „მთავარისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ჯერ კიდევ მოქმედ პრემიერს მხოლოდ ერთი თხოვნა აქვს — თანამდებობიდან ახალი წლის შემდეგ გაუშვან.



ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობიდან 2015 წელს ისე გაუშვეს, თვითონაც არაფერი იცოდა. წყარო „ქართული ოცნებიდან“ „მთავარ არხს“ უყვება, რომ ოლიგარქი ახლაც ახალ კონფიგურაციას ადგენს და ღარიბაშვილი ამ ახალ შემადგენლობაში ივანიშვილს მოწინავე ფლანგზე აღარ ესახება.

აგრესიული პრემიერის პოტენციური შემცვლელიც უკვე მოძებნილია. ქვეყნის შიგნით და გარეთ სიტუაციის შედარებით დასალაგებლად ოლიგარქი ფსონს სავარაუდოდ პარლამენტის მოქმედ თავმჯდომარეზე დადებს. კახა კუჭავა პარტნიორებისთვის „ქართულ ოცნებაში“ შედარებით მისაღები პოლიტიკოსია.

წყარო ყვება, რომ სასამართლოს ვიდეოს გასაჯაროება თავად ოლიგარქის სურვილი იყო — იმისთვის, რომ ღარიბაშვილს უფრო კარგად გაეგო, რას ფიქრობს მასზე უფროსი. ერთ დროს საყვარელ ბიჭზე, რომელსაც ორჯერ თქმა არ სჭირდებოდა, ბიძინა ივანიშვილი ახლა დამცინავად საუბრობს და ამბობს, რომ ღარიბაშვილი მისთვის ავტორიტეტი არაა, არც ფინანსები გაეგება და არც იურისტია.

სამთავრობო უწყებიდან წყარო ყვება, რომ ამ ჩვენების გასაჯაროების შემდეგ განაწყენებულ ღარიბაშვილთან გომელაური, ლილუაშვილი, კობახიძე და მდინარაძე მივიდნენ და მისი დამშვიდება ცადეს.

# „სააკაშვილის ფანჯარასთან დგას მანქანა, რომელიც სიცოცხლისთვის სახიფათო ტალღებს ასხივებს“

გენეტიკის ეროვნული ლაბორატორიის ხელმძღვანელის გიორგი ჩალაძის განცხადებით, გორის სამხედრო ჰოსპიტლის შიდა ეზოში მიხეილ სააკაშვილის პალატის ფანჯრებთან დგას მანქანა, რომელიც ასხივებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს, რაც ადამიანის ფსიქიკურ შეშლილობას, ჯანმრთელობის მოსპობას და სიკვდილს იწვევს.





ჩალაძის განცხადებით, მას აქვს აღნიშნული მანქანის ავთენტური კადრები, რომლებიც თავად გადაიღო.

ის მოუწოდებს სახალხო დამცველსა და დიპლომატიურ კორპუსს, შეისწავლონ ფაქტი და მოახდინონ უმკაცრესი რეაგირება.

— ჩვენი ქვეყნის მესამე პრეზიდენტის ფანჯარასთან დგას მანქანა, რომელიც ასხივებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს. ეს არის ე.წ. სისტემა კუპოლი ან გუმბათი, რისი გამოსხივებაც მინიმუმ 100 მეტრის რადიუსზე სასიცოცხლო საფრთხეს უქმნის ყველა გარშემომყოფს, იწვევს სისხლის გათეთრებიდან დაწყებული, ფსიქოლოგიური აშლილობით დამთავრებული.

ჩვენი კადრებით 1 კმ-ზეა დაფიქსირებული ეს გამოსხივება და ეს იწვევს ადამიანის ფსიქიკურ შეშლილობას, ჯანმრთელობის მოსპობასა და სიკვდილს. ამას შეუძლია, მოკლას ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი და ყველა, ვინც ამ მანქანასთან 100 მეტრის რადიუსზე იმყოფება. ეს მანქანა იმ წუთიდან იმყოფება აქ, როცა მიხეილ სააკაშვილი გადმოიყვანეს. ვთხოვ, ნინო ლომჯარიას შეისწავლოს ფაქტი და მე ვთხოვ დიპლომატიურ კორპუსს, რომ ამაზე მოახდინონ უმკაცრესი რეაქცია, — განაცხადა ჩიხლაძემ.

# მიხეილ სარჯველაძე: „იქნება მუნიციპალიტეტები, სადაც ოპოზიციისგან აბსოლუტურ დესტრუქციას ვიხილავთ“



— იქნება მუნიციპალიტეტები, სადაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში შეიძლება ოპოზიციური პარტიების მხრიდან აბსოლუტური დესტრუქცია ვიხილოთ.

ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სარჯველაძემ საქართველოს პირველი არხის ეთერში განაცხადა.

— საგნობრივი საუბარი თუ არ გაიმართა და თემატიკის ირგვლივ დისკუსია არ დაიწყო, ეს ოპოზიციას არსად მიიყვანს და რეალურად, ეს არის სახიფათო ქვეყნისთვისაც. ხელისუფლების მიდგომა ორიენტირებულია და მიდრეკილია საიმისოდ, რომ დესტრუქციულად განწყობილ ოპოზიციურ ძალას პრობლემები არ შეაქმნევინოს და ეს არის სწორი ნაბიჯი.

ოპოზიცია შემხვედრ ნაბიჯს თუ გადმოდგამს იმ მიმართულებით, რომ ჩვენი მსჯელობა და კამათი თემატურ და საგნობრივ დისკუსიაში გადაიზარდოს, რასაკვირველია, ეს იქნება მხოლოდ ქვეყნის წარმატების საწინდარი. გულწრფელად გითხრათ, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში გარკვეული მოლოდინი უნდა არსებობდეს, მაგრამ ჩემი პირადი დაკვირვებიდან გამომდინარე, პირდაპირ ვიტყვი, იქნება მუნიციპალიტეტები, სადაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში შეიძლება, ოპოზიციური პარტიების მხრიდან აბსოლუტური დესტრუქცია ვიხილოთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ეს, ალბათ, გარდაუვალი იქნება. სამწუხაროდ, ეს ასეა, — განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

# ორსული მაკა ქაჩლიშვილი კოვიდით გარდაიცვალა

## ახალშობილი ექიმებმა გადაარჩინეს

კორონავირუსით გურჯაანში კიდევ ერთი ორსული გარდაიცვალა. გარდაცვლილი გურჯაანის სამების ტაძრის სტიქაროსნის მეუღლეა. ინფორმაციას „პრაიმტაიმი“ ავრცელებს.



35 წლამდე ასაკის მაკა ქაჩლიშვილს ექიმებმა საკეისრო კვეთა ჩაუტარეს. ოპერაციის შედეგად ახალშობილი გადარჩა, მშობიარე ქალი კი დაიღუპა.

კოვიდ 19-ით ორსულის გარდაცვალების ეს უკვე მეორე შემთხვევაა გურჯაანში.

დაახლოებით ერთი თვის წინ მუნიციპალიტეტში 30 წლის მშობიარე გარდაიცვალა. ინფიცირებული ქალი ორსულობის მეშვიდე თვეში იმყოფებოდა. საკეისრო კვეთის შედეგად, ახალშობილი გადარჩა, დედის სიცოცხლის შენარჩუნება ექიმებმა ვერ შეძლეს. ახალგაზრდა ქალს ოთხი შვილი დარჩა.

არც ერთი ორსული ვაქცინირებული არ იყო.

კორონავირუსით საქართველოში უკვე 19 ორსული გარდაიცვალა.

# იპოთეკური სესხი გაძვირდა, ავტოსესხი გაიაფდა



2021 წლის ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სესხებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 14,9%-დან 15,6%-მდე მოიმატა.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, აქ კლება ფიქსირდება, თუმცა – მინიმალური. კერძოდ, სებ-ის სტატისტიკით, 2020 წლის ოქტომბერში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 6,8%-ს, წელს ოქტომბერში კი ეს მაჩვენებელი 6,1%-მდე შემცირდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ არ ენდობა ამ სასამართლოს და სააკაშვილი რატომ უნდა ენდოს?!“

## ანზორ ბიწაძე: „1937 წელს არ ყოფილა შემთხვევა, რომ სასამართლო პროცესზე არ დაესწროთ ის ადამიანი, რომელსაც თუნდაც ხვრეტდნენ“




ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.**

***– ანზორ, დღეს მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესია. ჯერ კიდევ არ ვიცით, მისცემენ თუ არა მას სასამართლოზე დასწრების უფლებას. უნდა დაესწროს თუ არა ის საკუთარ პროცესს?***

– რა თქმა უნდა, სააკაშვილს უნდა ჰქონდეს წვდომა თავისუფალ მართლმსაჯულებაზე. სხვათა შორის, გუშინ გაკეთდა მოსამართლის განცხადება, რომ ის აუცილებლად უნდა დაესწროს ამ პროცესს, თუკი ჯანმრთელობა ამის საშუალებას მისცემს. მისი ექიმები კი ამბობენ, რომ ამის საშუალება აქვს და ემზადება პროცესისთვის. სანამ ეს სიტუაციაა, ყოველთვის ვიტყვი ამას და ბიძინა ივანიშვილის ფრაზას გამოვიყენებ – ნახ-ნახევარიიო. არ შეიძლება, ნახ-ნახევარი სამართლიანობა და სამართალი არსებობდეს, თუკი სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში პირდაპირ წერია სიტყვა, კლანური, სიტყვები, გავლენის ჯგუფები. თუკი მე არ ვაღიარებ და არ ვენდობი ამ სასამართლოს, თუკი უამრავი ადამიანი არ ენდობა, ასევე „ქართული ოცნების“ ძალიან ბევრი წევრი ცდილობს, ამ სასამართლოში არ მოხვდეს, იმიტომ რომ, დღეს ვისაც მეტი გავლენა აქვს, ის ჯობნის, მაშინ არ გამოვა, რომ ვილაცებისთვის ეს სასამართლო უსამართლოდ ითვლებოდეს და სააკაშვილისთვის – სამართლიანად, ასეთი ნახ-ნახევარი სამართლით ფონს ვერ გავალთ.

***– არ არის დამოუკიდებელი დღევანდელი სასამართლო სისტემა?***

– დღევანდელი სასამართლო არის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. მე თვითონ მქონია შემთხვევები, როდესაც შევჯახებივარ ამ უსამართლო სასამართლოს. ამიტომ ვფიქრობ, რომ სააკაშვილი არის ბიძინას პატიმარი. მას არა აქვს წვდომა თავისუფალ მართლმსაჯულებაზე. ის, რაც სააკაშვილმა მოითხოვა, რომ მას სურს ჰქონდეს თავისუფალი სასამართლოს უფლება და ისე წარდგეს თავისი ხალხის წინაშე, ამის უფლება ნებისმიერ ადამიანს, მით უმეტეს ყოფილ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს. აქ ახლა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათია თუ იქნება იმის განმსაზღვრელი, სააკაშვილს უნდა ჰქონდეს თუ არა თავისუფალი სასამართლოს საშუალება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ არ გვინდა სამართლებრივი სახელმწიფო. ცოტა მიკვირს ჩემი იმ კოლეგების, რომლებიც ამ საკითხიდან დისტანცირებას აკეთებენ.

***– ცნობილი სახეები, საზოგადო მოღვაწეები სააკაშვილის შეწყალების ინიციატივით გამოდიან, თუმცა პრეზიდენტი კატეგორიულია და აცხადებს, არ შევიწყალებო. არსებობს სხვა რაიმე გზა?***

– სამწუხარო რეალობაა და მე მხოლოდ ფაქტს ვიტყვი. არ მინდა, ჩემი შეფასებები მოგახვიოთ თავს, რომლებიც, ბუნებრივია, ჩემს პირად შეხედულებებს ეფუძნება. ირაკლი ოქრუაშვილსა და გიგი უგულავაზეც არაერთხელ თქვა პრეზიდენტმა, არ შევიწყალებო, მაგრამ, უბრალოდ, დაურეკეს და უთხრეს, რომ უნდა შეეწყალებინა და შეიწყალა. თუ დაურეკავენ პრეზიდენტს და ეტყვიან, უნდა შეიწყალოო, ისიც შეიწყალებს. ამისათვის კი აუცილებელია საზოგადოებრივი ზეწოლა.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, უნდა შეიწყალოს პრეზიდენტმა ქვეყნის მესამე პრეზიდენტი? არ არის ის დამნაშავე?***

– მოდით, ისევ სამართლიანობის თემას დავუბრუნდეთ. მე არა მაქვს უფლება, ვისაუბრო იმ საქმეებზე, რომლებიც მის წინააღმდეგაა აღძრული. ვერ ვისაუბრებ იმაზე, ის დამნაშავეა თუ უდანაშაულო. როდესაც ამ საქმეებს გამოიძიებს თავისუფალი სასამართლო და პროკურატურა, მხოლოდ ამის შემდეგ შემიძლია ვისაუბრო. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ ყველაფრის საწინააღმდეგოს თქმა გამომივა, რასაც ვაკრიტიკებ. სააკაშვილის დროს თუ ვინმე დაზარალებულა და თუ ვინმეს უბრძოლია სააკაშვილთან, ასეთი ერთი და ორი თუა საქართველოში, მაგრამ მე არ ვიქნები ის ადამიანი, რომელიც თანახმა ვიქნები, ადამიანი გასამართლდეს ივანიშვილის სასამართლოთი და საქმე გამოიძიოს ივანიშვილის პროკურატურამ. სამართლებრივად თუ მივუდგებით, გელაშვილის საქმეზე საერთოდ დასრულებული არ არის გამოძიება, ასევე კითხვის ნიშნებს იწვევს სხვა საქმეებიც, თუ როგორ ჩატარდა გამოძიება. ამიტომ ამ პირობებში მე არც სააკაშვილზე და არც სხვაზე შეფასებას არ გავაკეთებ.

***– გვახსენდება თქვენი და ნინო ბურჯანაძის მონაწილეობითა და ორგანიზატორობით ჩატარებული აქციების დარბევა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ. არც მაშინ თვლიდით, რომ დამნაშავე იყო?***

– დიახ, ეს თუ ვინმეს ახსოვს, მე მახსოვს. არათუ მონაწილეობით, დიახ, სწორედ ჩვენი ორგანიზებით ტარდებოდა ეს აქციები. ამ აქციებს კონკრეტული მიზანი ჰქონდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასულიყო, ვინაიდან ჩვენ და ძალიან ბევრი ადამიანი ჩვენთან ერთად ვთვლიდით, რომ იმ ხელისუფლების გაჩერება ქვეყნის სათავეში არაფრის დიდებით აღარ შეიძლებოდა. ასე რომ, არავის არაფერი დაგვვიწყებია, მაგრამ ჩვენ გვაქვს იმდენი შეგნება, რომ დავდგეთ საკუთარ ემოციებზე მაღლა და მეორეც, დავიჭიროთ სამართლიანი მხარე იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანი სახელმწიფო მივიღოთ. სხვათა შორის, იმ ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი, რომლებიც მაშინ დაზარალდნენ, აბსოლუტურად იზიარებენ ჩვენს პოზიციას. მე მინდა, მივმართო იმ ადამიანებს, რომლებიც იმ წლებში უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ახლა, უბრალოდ, ხარობენ იმით, რაც ხდება. თუ ჩვენ ვებრძოდით იმას, რომ არ იყო სამართლიანი გამოძიება და სამართლიანი სასამართლო სააკაშვილის ხელისუფლების დროს, რატომ მოგვწონს ეს ივანიშვილის ხელისუფლების დროს?! მაშინ, გამოდის, რომ სამართლიანობისთვის კი არა, კონკრეტული პიროვნებების წინააღმდეგ და კონკრეტული ამოცანებისთვის ვიბრძოდით.

***– იმის თქმა გინდათ, რომ სისტემა იგივე დარჩა?***

– სისტემა არათუ იგივე დარჩა, სისტემა ერთი-ერთში, უბრალოდ, აიღეს, გადმოიბარეს და კიდევ უფრო „დახვეწეს“ გარკვეული მეთოდები. მე ამას არ ვაკადრებ ჩემს თავს, ის ადამიანები კი, რომლებიც მაშინ იბრძოდნენ და დღეს უხარიათ, რომ მურუსიძის სასამართლო ასამართლებს სააკაშვილს, მე მგონი, ცოტა უხერხულობას მაინც უნდა გრძნობდნენ. თუ მურუსიძე დარჩა მოსამართლედ, მაშინ, რას ვებრძოდით ბოლოს და ბოლოს?! გამოდის, კონკრეტულ გვარებსა და სახელებს ვებრძოდით და რაღაც კონკრეტული ამოცანები გვამოძრავებდა?! აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს ყველა, ვინც ახლა ხარობს იმით, რაც სააკაშვილთან დაკავშირებით ხდება.

***– რა მოტივით არ მიჰყავთ სააკაშვილი სასამართლოზე? უსაფრთხოების მიზნითო, მოვისმინეთ ასეთი ვერსიაც.***

– ბევრი პრობლემა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს სახელმწიფოს, როგორც ყველას, მაგრამ თავმოყვარეობა ნამდვილად არასდროს გვაკლდა. როგორ შეიძლება, თავმოყვარე სახელმწიფომ და ხელისუფლებამ თქვას, მსჯავრდებული ვერ მიმყავს სასამართლოზე იმიტომ, რომ მის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველვყოფო. სახელმწიფო მეუბნება, მსჯავრდებულს ვერ მივიყვან, იმიტომ რომ, შესაძლოა, გზაში მომტაცონო. ასეთი რამ წარმოგიდგენიათ?!

***– ეტყობა, ნაციონალების პროვოკაციის ეშინიათ.***

– პროვოკაცია თუ იქნება, აღკვეთონ. რას აკეთებს სახელმწიფო, ვერ გავიგე! რისთვის არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, პენიტენციარული სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო. გადათვალეთ, უბრალოდ, მათ დაფინანსებაში რამდენი იხარჯება. ასეთი მართლა არაფერი გამიგია. თავმოყვარე სახელმწიფო ამას როგორ იტყვის, მსჯავრდებულს არ გამოვაჩენთ სასამართლოზე, იმიტომ რომ არ მომტაცონო. მსგავსი არაფერი მსმენია! 1937 წელს არ ყოფილა შემთხვევა, რომ სასამართლო პროცესზე არ დაესწროთ ის ადამიანი, რომელსაც თუნდაც ხვრეტდნენ.

***– ეს საბაბი ხომ არ არის და სრულიად სხვა მოტივი ხომ არ არსებობს?***

– ერთია, რას გვეუბნებიან. რაც შეეხება მოტივებს, მოტივი არის მარტივი: უბრალოდ, არ უნდათ, ის გამოჩნდეს ეკრანებზე, ტელეკამერებთან და საკუთარი მხარდამჭერების წინაშე. აი, ასეთი ხელისუფლება გვყავს, რომელსაც ეშინია სააკაშვილის გამოჩენის ტელეეკრანების წინაშე. იმ ადამიანებს მინდა მივუბრუნდე, „ქართულ ოცნებას“ რომ გულშემატკივრობენ სააკაშვილის ჯინაზე. მათ მოსწონთ ასეთი ხელისუფლება, რომელსაც სააკაშვილის ობიექტივში ერთი გამოჩენის ასე ეშინია?! რა უხარიათ, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტს ისე რომ ასამართლებენ, სასამართლოზე მისვლის საშუალებას არ აძლევენ?! აბსურდის თეატრში გადავედით. არ მესმის იმ ხალხის, ვისაც, ერთი მხრივ, სახელმწიფო უნდა და, მეორე მხრივ, მისაღებია ასეთი ველური, შუა საუკუნეების მეთოდებით ადამიანის გასამართლება.

***– ვიხილავთ დღევანდელ პროცესზე მიხეილ სააკაშვილს?***

– „ქართული ოცნების“ პირობებში პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა. პრემიერი ვინც დაგვინიშნა, ის გვეუბნება, რომ ეს კაცი არაფრის აზრზე არ არის და, როგორ გითხრათ ან რა წარმოვიდგინო, ესენი რას გააკეთებენ. ჩემი აზრით, მათ მაინც მოუწევთ სააკაშვილის სასამართლოზე მიყვანა. ზედმეტი პროგნოზებისგან კი თავს შევიკავებ.

## პროკურატურა „ტვ პირველისგან“ ბოდიშს ითხოვს




პროკურატურის განცხადება, რომლითაც საგამოძიებო უწყება „ტვ პირველს“ ემუქრება და ბოდიშის მოხდას სთხოვს, იურისტებს აბსურდულად ეჩვენებათ.

საიას თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილი ყურადღებას რამდენიმე საკითხზე ამახვილებს.

– პროკურატურის 27 ნოემბრის განცხადება იყო უცნაური იმდენად, რამდენადაც, როდესაც ვსაუბრობთ საჯარო პირებზე, იქ უნდა დადასტურდეს, რომ ტელეკომპანიამ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით იცრუა, ამდენად, სიუჟეტის ნახვამდე რამდენად განისაზღვრა ის, რომ უხეშ გაუფრთხილებლობა იყო აი, ამ სიუჟეტთან მიმართებით, ცოტა გაუგებარია, თუმცა მეორე ნაწილია ასევე ძალიან საინტერესო, რომელიც გულისხმობს, რომ საჯაროდ ბოდიშის მოხდა ავტორებს აუცილებლად მოუწევთო.

ჯერ ერთი, პირდაპირ კრძალავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი, რომ ვინმეს დაევალოს ბოდიშის მოხდა. ეს არის აბსოლუტურად გამორიცხული და მეორე საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ რანაირად განსაზღვრავს პროკურატურა იმას, რომ ვინმეს აუცილებლად მოუწევს ბოდიშის მოხდა მაშინ, როდესაც სასამართლოა გადაწყვეტილების მიმღები კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. სამართლებრივად აბსურდულია, – ამბობს ნიკა სიმონიშვილი.

ნოდარ მელაძის შაბათში გასულ რეპორტაჟთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის და მისი მოადგილეების ძვირადღირებული ქონების შესახებ ეხებოდა, პროკურატურა „ტვ პირველისგან“ ბოდიშის მოხდას ითხოვს.

საგამოძიებო უწყებამ განცხადება ჯერ კიდევ მაშინ გაავრცელა, როდესაც საგამოძიებო რეპორტაჟი ეთერში გასული არ იყო.

## მწვანე ბარათი საზოგადოებრივ ტრანსპორტში აუცილებელი იქნება?




მთავრობის გადაწყვეტილებით, პირველი დეკემბრიდან მწვანე პასპორტი ამოქმედდება. დღეს მოქალაქეებმა მთავრობისგან მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღეს, სადაც განმარტებულია, რომ კოვიდსაშვის წარდგენა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და მაღაზიებში სავალდებულო არ იქნება.

შეტყობინებაში ასევე აღნიშნულია, რომ კოვიდსაშვის გამოყენება მხოლოდ 18 წელს ზემოთ მყოფი პირებისთვის იქნება სავალდებულო.

ამავე თემაზე „რუსთავი 2“-თან საუბრისას ალერგოლოგმა ბიძინა კულუმბეგოვმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, მწვანე პასპორტის გამოყენება, შესაძლოა, ტრანსპორტშიც ამოქმედდეს.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, პირებს, რომლებიც დღემდე არ ჩართულან იმუნიზაციის პროგრამაში და არ აცრილან საქართველოში არსებული ნებისმიერი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, გარკვეულ დაწესებულებაში შესვლა შეეზღუდებათ, კერძოდ – კვების ობიექტებში, გასართობ ცენტრებში, კინოთეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში და ა.შ.

შეზღუდვა არ იმოქმედებს მათთვის, ვისაც მწვანე პასპორტი ექნება. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის პისიარტესტი, ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი. საშვზე მოთხოვნა 18 წლის ზემოთ მოქალაქეებსა და ტურისტებზე ვრცელდება.

მომხმარებელს კოვიდსაშვის აღება ორ გზით შეუძლიათ, ონლაინაპლიკაციის საშუალებით, რომელზეც საჭიროა მარტივი რეგისტრაციის გავლა. საიტზე რეგისტრაციის შემდეგ პირს კოდი მიენიჭება, რომელიც განახლებას არ მოითხოვს, ხოლო მწვანე საშვის მიღება, ადამიანს მეორე გზით, იუსტიციის სახლში მისვლით შეუძლია, სადაც ვაქცინირებულ ადამიანს გადასცემენ შესაბამის საბუთს.

## კახა კუჭავა: „დეპუტატები გორის ჰოსპიტალში სააკაშვილთან შეუფერხებლად შევლენ“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა აცხადებს, რომ უკვე შეთანხმებულია ბრძანების ფორმატი, რაც დეპუტატებს შესაძლებლობას მისცემს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში შეუფერხებლად შევიდნენ.

კახა კუჭავას განმარტებით, მისი უფლებამოსილება ეხება მხოლოდ პენიტენციარულ დაწესებულებებს და, რადგან გორის ჰოსპიტალი არ წარმოადგენს პენიტენციარულ დაწესებულებას, ამ შემთხვევაში მოხდა გარკვეული დროით შეფერხება.

– შევეცადეთ, გვეპოვა ფორმა, რომელიც დეპუტატებს საშუალებას მისცემს, მოინახულონ პატიმარი სააკაშვილი. ყოველთვის ჰქონდათ დეპუტატებს საშუალება, ჩვენ გვქონდა ფრაქციებთან კომუნიკაცია და არა მხოლოდ ერთი ან ორი პარტიის, ყველა დეპუტატი, ვისაც სურვილი ჰქონდა, მიეცათ საშუალება, მოენახულებინათ სააკაშვილი. რაც შეეხება ჩემს უფლებამოსილებას, ეს ეხება მხოლოდ პენიტენციარულ დაწესებულებებს; შესაბამისად, გორის ჰოსპიტალი არ წარმოადგენს პენიტენციარულ დაწესებულებას და ამ შემთხვევაში მოხდა გარკვეული დროით შეფერხება, სწორი გადაწყვეტილება მიგვეღო სამართლებრივად, თუ როგორ გაგრძელდებოდა, შეშვების სამართლებრივი საფუძველი რა იქნებოდა – დეპუტატების შეშვების.

შეხვედრა იყო როგორც პარლამენტის მხრიდან – მიხეილ სარჯველაძე, ასევე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იყო ოპოზიციის წარმომადგენელიც და როგორც ვიცი, უკვე შეთანხმდნენ იმ ბრძანების ფორმატზე, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, უკვე შეუფერხებლად შევიდნენ.

ფაქტია, რომ არასდროს არ ყოფილა შეზღუდვა, ჩანაწერი კანონში რაც არის, იმ ფარგლებში პირდაპირ გორის ჰოსპიტალში შესვლა გამორიცხული იყო, ჩემი უფლებამოსილებით და ბრძანებით განსაზღვრულიყო, ამიტომ შევეცადეთ, გვეპოვა ის ფორმა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, მოინახულონ პატიმარი, – განაცხადა კუჭავამ.

# „მჯერა, რომ სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს შეიწყალებს“

## მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს თუ უნდა, პოლიტიკურად გადარჩეს, ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოს“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო მურმან, სააკაშვილის საქმის მოსამართლემ ძალიან თამამი განცხადებები გააკეთა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, ის ერთგვარ ალიბს იქმნის, რომ თავისუფალია ყოველგვარი კლანის დავალებისგან თუ შეიძლება, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს?***

– წინასწარ განწყობებზე არ მინდა, ვისაუბრო. დასკვნას მას შემდეგ გავაკეთებ, როცა ამ მოსამართლის გადაწყვეტილება გახდება ცნობილი. როდესაც ვნახავ სასამართლო პროცესზე მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც აქვს ხალხისთვის თავისის სათქმელი, ამის შემდეგ გავაკეთებ დასკვნებს. არ ვიჩქარებ.

დღეს, რაც დანამდვილებით ვიცი, არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია. მოსამართლე რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მის სინდისზე იყოს. ვნახოთ, როგორი იქნება მისი გადაწყვეტილება.

ერთ-ერთი ბრალდება 7 ნოემბრის დარბევას უკავშირდება. მიხეილ სააკაშვილმა ამ საქმეზე პოლიტიკური ფასი გადაიხადა. ის გადადგა და ვადამდელი არჩევნები დანიშნა. ნებისმიერი ხელისუფლება, ცხადია, შეცდომას უშვებს, მაგრამ მთავარია, ამაში მან პოლიტიკური ფასი გადაიხადოს.

***– მოსამართლე ორკოდაშვილის კიდევ ერთი განცხადება ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში: თუ განსასჯელი სააკაშვილი არ დაესწრება სასამართლო სხდომას, ის არ ჩაატარებს პროცესს.***

– ეს განცხადება მართლაც არის თამამი და მომწონს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქალბატონი მოსამართლე არ დაემორჩილება „ზემოდან“ წამოსულ მითითებას. როდესაც თავად მოსამართლე მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, მერე შევაფასებ მას.

***– ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნით აქციების მთელი წყება იგეგმება. ამ მოთხოვნით დაიწყება აქციები?***

– დიახ, რა თქმა უნდა. აქციები პოლიტიკური პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. აქციები, პროტესტი, საერთაშორისო პარტნიორების შეწუხება... ყველა უნდა შევაწუხოთ, რათა ერთხელ და საბოლოოდ ქვეყანამ უარი თქვას შურისძიებაზე. 2012 წელს, როდესაც ხელისუფლება იცვლებოდა და ახალი მოდიოდა, არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს, სადაც ეწერა, რომ წინა ხელისუფლებას დავსჯიდით. თუ უფრო გონივრულ გადაწყვეტილებებს არ მივიღებთ, შორს ვერ წავალთ, ვიტრიალებთ ამ ჩაკეტილ წრეში. ასე თუ ვიმსჯელებთ, მეხუთე პრეზიდენტის დაკავებაც მოგვიწევს, რადგან მან უკვე შეიწყალა პოლიციის მკვლელობისთვის გასამართლებული პირი.

***– სალომე ზურაბიშვილმა, თავისი განცხადების მიუხედავად, არა და არასოდეს არ შევიწყალებო, შეიძლება, ეს პოზიცია შეცვალოს?***

– მიუხედავად მისი ამ განცხადებისა, სიმართლე გითხრათ, მე მაინც მგონია, რომ სწორედ მეხუთე პრეზიდენტი შეიწყალებს მესამე პრეზიდენტს. არ გამოვრიცხავ, სალომე ზურაბიშვილი გახდეს ის პირი, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამს, მით უფრო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ნაბიჯები არ ექვემდებარება ლოგიკურ მსჯელობას. შეიძლება, გაბედულებაც კი გამოიჩინოს. სალომე ზურაბიშვილი უნდა მოიქცეს ისე, როგორც სინდისი უკარნახებს. მართალია, სააკაშვილი ამბობს, რომ არაფერი შესაწყალებელი არ სჭირს, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური განაცხადია.

***– მიხეილ სააკაშვილს თუ მიეცემა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ახალი შურისძიების მიზეზი გახდება? ძალიან ბევრ ადამიანს ამის, შეიძლება, ეშინოდეს კიდეც.***

– პირიქით არის. თუ მიხეილ სააკაშვილს აღუდგება მოქალაქეობა და მას თავისუფლად მიეცემა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის უფლება, ეს იქნება პოლიტიკური კონკურენციის მაღალი ჩვენება ყველასთვის, მაშინ ეს ქვეყანა დაწყნარდება, რადგან ამ ქვეყნის მილიონ-ნახევარ მოქალაქეზეა საუბარი.

***– წინააღმდეგ შემთხვევაში?***

– წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში იქნება მუდმივი, დაუსრულებელი პოლარიზაცია, ისეთი პოლიტიკური დუღილი, რომელიც კარგს არაფერს მოგვიტანს. კონკურენცია პოლარიზაციის დასრულების ყველაზე კარგი წამალია. საქართველოს მოქალაქის გადასაწყვეტია ამ ქვეყნის პოლიტიკური მომავალი, მისი რაობა, მისი პროპორციები, მისი შინაარსი.

თუ მიხეილ სააკაშვილს აღუდგება მოქალაქეობა, მიეცემა თავისუფლად პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობა და დაინიშნება ვადამდელი არჩევნები, ეს იქნება ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი. თუ ბიძინა ივანიშვილი ამ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ ის გადარჩება პოლიტიკურად. მისი „ქართული ოცნებაც“ გადაურჩება პოლიტიკურ წნეხს და იმ შურისძიებას, რომელიც, შესაძლებელია, ახალ ხელისუფლებას ჰქონდეს. ამიტომ ვამბობ, რომ თუ გვინდა გადავრჩეთ, როგორც სახელმწიფო, რომელსაც აქვს დემოკრატიული მომავლის პრეტენზია, ამ გზით უნდა ვიაროთ.

# ნატოს მინისტერიალზე უკრაინასთან ერთად საქართველოზეც ისაუბრებენ

## იქნება თუ არა ომი უკრაინაში?

მარიამ მჭედლიშვილი

ამ კვირაში ევროპაში ნატოსა და ეუთოს ეგიდით გაიმართება სამიტები, რომლებზეც უკრაინასთან ერთად საქართველოზეც იმსჯელებენ. ნატოს მინისტერიალში მონაწილეობას მიიღებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეკრებაზე განიხილავენ რუსეთის შეკავების საკითხებს. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მინისტერიალამდე მოუწოდა მოსკოვს, შეანელოს დაძაბულობა უკრაინის საზღვართან. მან კიევს აღუთქვა პოლიტიკური და პრაქტიკული დახმარება იმისთვის, რომ უკრაინამ შეძლოს რუსეთის აგრესიასთან გამკლავება.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა უკრაინის საზღვართან მოახდინა საკუთარი ჯარის, ასევე მძიმე სამხედრო ტექნიკის მობილიზება, რაც მსოფლიოში დიდ შეშფოთებას იწვევს. საუბრობენ რუსეთის მხრიდან უკრაინაში შესაძლო შეჭრაზე. სტოლტენბერგის თქმით, თუ რუსეთი არ შეაჩერებს ესკალაციას, ეს მას ძვირად დაუჯდება.

– რუსეთი აგრძელებს ყირიმის უკანონო ანექსიას, ახდენს სიტუაციის დესტაბილიზაციას აღმოსავლეთ უკრაინაში და კვლავინდებურად ახორციელებს კიბერშეტევებს ამ ქვეყანაში, – აღნიშნა ნატოს გენმდივანმა.

უკრაინაში ამ დღეებში ვითარება სხვა მხრივაც დაიძაბა – პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინაში 1-2 დეკემბერს მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება. ზელენსკის თქმით, ამაში მონაწილეობდა რუსეთი უკრაინის ოლიგარქ რინატ ახმეტოვთან ერთად.

ახმეტოვმა ამ განცხადებას სრული სიცრუე უწოდა და გამოაცხადა, რომ ყოველთვის მხარს უჭერდა და დაუჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას.

იქნება თუ არა ომი უკრაინაში? ამაზე სხვადასხვა პროგნოზი გამოითქმის. ფინელი სამხედრო ექსპერტების აზრით, ომის დაწყების ამოცანა არც ერთ სტრატეგიულ მოთამაშეს არა აქვს. ამაზე დიდი პრობლემაა შექმნილი პოლონეთში, ასევე – ბოსნია-ჰერცეგოვინაში, სადაც მიგრაციული კრიზისია.

დასავლელი ექსპერტები მსჯელობენ იმაზე, გაგზავნის თუ არა აშშ თავის მრჩევლებსა და დამატებით იარაღს უკრაინაში. თუ ამერიკელი მრჩევლები იქნებიან კონფლიქტის ერთ მხარეს, ამერიკელები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და ვაშინგტონს მოუწევს არჩევა – უკრაინის თავდაცვაში მონაწილეობს თუ უკრაინას



მხოლოდ პოლიტიკურად უჭერს მხარს.

ანალიტიკოსები სხვა დილემაზეც ამახვილებენ ყურადღებას. მათი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ აშშ-მ რუსეთთან კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით შეამციროს სამხედრო წვრთნების რაოდენობა ევროპაში და შეზღუდოს უკრანისათვის იარაღის მოწოდება. მეორე ვერსიით, დაძაბულობა გაიზრდება, რუსეთის მიმართ ამერიკული სანქციები გამკაცრდება, კიევის იარაღით მომარაგება კი გაფართოვდება.

რუსეთის გამღიზიანებლად ითვლება ასევე 9 და 10 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენის ინიციატივით დაგეგმილი „დემოკრატიის სამიტი“. პანდემიის გამო ის ვიდეოკონფერენციის სახით გაიმართება. როგორც ცნობილია, მასში მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტიც.

სულ დემოკრატიის სამიტზე 100-ზე მეტი ქვეყანაა მიწვეული. ორგანიზატორებს მასზე რუსეთი არ დაუპატიჟებიათ. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრციდან საქართველოს, უკრაინის, მოლდოვისა და ბალტიისპირა სახელმწიფოების გარდა, მიპატიჟებულია სომხეთი. ბელარუსიდან მიწვეულია ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაია.

„დემოკრატიის სამიტს“ განიხილავენ შეკრებად ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ. კრემლის შეფასებით, ეს იქნება ახალი გამყოფი ხაზების გავლების მცდელობა.

ვითარება მსოფლიოში ამ სამიტის გარეშეც საკმაოდ დაძაბულია. დიდი ბრიტანეთის გენშტაბის უფროსი ნიკ კარტერი აცხადებს, რომ გაერთიანებული სამეფოსთვის მთავარი საფრთხე რუსეთია.

– რუსეთი წარმოადგენს იმაზე დიდ საფრთხეს, ვიდრე ისლამისტი ტერორისტები, – ამბობს ბრიტანელი სამხედრო მაღალჩინოსანი.

# „მიშას თავისუფლების ერთ-ერთი გასაღები არჩევნებია. მაკვირვებს ნაციონალების პოზიცია“

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

ხმობ იმას, რომ ხელისუფლების მოწინააღმდეგეები მივიდნენ არჩევნებზე და ამიტომ მათი ჩართულობა უნდა გავზარდოთ. როდესაც ერთმანეთს ადარებენ ხელისუფლების შეცვლის ორ გზას – საარჩევნოს და არასაარჩევნოს, არასწორია. როდესაც ამბობენ, რომ არჩევნებს აზრი აღარ აქვს და სხვა გზით უნდა ვცადოთ ხელისუფლების შეცვლა, ჩემი აზრით, არასწორია.

არასაარჩევნო გზით ხელისუფლების შეცვლას გაცილებით მეტი მხარდაჭერა და მობილიზება სჭირდება, ვიდრე არჩევნების გზით. უარი არ უნდა ვთქვათ საარჩევნო გზაზე, რომელიც, ამავდროულად, არ გამორიცხავს იმას, რომ პროცესში რაღაც ისეთი მოხდეს, რამაც შესაძლოა ხელისუფლების არასაარჩევნო გზით შეცვლა გამოიწვიოს. მსგავსი ამბები ადრეც მომხდარა. მაგალითად, 7 ნოემბერი, როდესაც მიხეილ სააკაშვილს მოუხდა გადადგომა და ახალი არჩევნების ჩატარება. ასევე იყო აფეთქება „ოცნების“ ხელისუფლების დროსაც – ეს არის ბასიანის საქმე, სარალიძის საქმე თუ 20 ივნისი. ხელისუფლების შესაცვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მაგრამ მას მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლა მოუხდა. მომავალშიც არ გამოვრიცხავ სპონტანურ შეცდომებს, მაგრამ, ხომ არ შეიძლება, ასეთი შეცდომების ამარა იყოს?! უნდა ვმუშაობდეთ იმ გეგმით, რომელიც გამოიწვევს არა ცვლილებების იმედს, არამედ მხარდაჭერას. სურვილი არსებობს, მაგრამ მას არ აქვს საკმარისი მხარდაჭერა. ამის მაგალითია ის, რომ შარშანდელ არჩევნებზე ოპოზიციის 200.000 მხარდამჭერით მეტი იყო და, შესაბამისად – მხარდაჭერაც. თუ რიცხვებს ვნახავთ, აღმოვაჩენთ, რომ „ოცნების“ გემოვნების ბანაკი – „ოცნება“, გახარიას პარტიისა და „პატრიოტთა ალიანსის“ ამომრჩეველი პრაქტიკულად უცვლელია ჯამურად იმის, რაც შარშან მიიღეს „ოცნებამ“ და „პატრიოტებმა“. ჩვენ დავზარალდით არა მხოლოდ გაყალბების, არამედ იმის გამოც, რომ ჩვენი ამომრჩეველი არჩევნებზე არ მოვიდა. ობიექტური მიზეზიც აქვს ამას – მაგალითად, გადიან ადამიანები ქვეყნის გარეთ და ასეთი ადამიანები ძირითადად ოპოზიციის მხარდამჭერები არიან, რადგანაც ხელისუფლების მხარდამჭერებს აქვთ მაინც შექმნილი სასათბურე პირობები.

***– უერთდებით იდეას „თავისუფლება მიშას“. იქნებით თუ არა ამ აქციებზე?***

– ესეც არასწორად დასმული კითხვაა. არასწორად დასმული საკითხის პოზიციიდან მაძლევთ ამ შეკითხვას. ჩვენ „თავისუფლება მიშას“ და ზოგადად პოლიტიკური დევნის შეწყვეტას არა მარტო ვუერთდებით, არამედ ერთ-ერთი აქტიური მონაწილენი ვართ ამ პროცესში. მეტსაც გეტყვით, თუ ამოიღებთ პოლიტიკურ ლიდერთა ზარებს ან კავშირებს, რომლებიც განხორციელდა სააკაშვილის დაჭერის პროცესში, დაინახავთ, რომ მისი პარტიის ლიდერებსაც კი არ ექნებოდათ კომუნიკაცია უფრო ადრე, ვიდრე ჰქონდათ „ევროპული საქართველოს“ ლიდერებს.

ყველა თვლის, რომ ამა თუ იმ აქციაზე უნდა ვიყოთ წარმოდგენილი, მაგრამ ამ პოზიციის არასამართლიანობისთვის მინდა გაგახსენოთ, რომ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია თაკო ჩარკვიანმაც ჩაატარა და, თუ არ ვცდები, ორჯერ. მე იქ ვერ ვნახე მაინცდამაინც ბევრი ენმ-ის წევრი. საერთოდ ის, რომ ნაცმოძრაობამ მობილიზება გამოაცხადა, რომ მიშას გათავისუფლების მოთხოვნით აქციაა და ყველა მივდივართო, რა უცნაური დამოკიდებულებაა, როდესაც ყველა სვამთ კითხვას, უერთდებით თუ არა ნაცმოძრაობის მიერ ორგანიზებულ აქციას და არავინ სვამთ ენმ-ის მიმართ კითხვას, ისინი რატომ არ უერთდებიან იმავე თაკო ჩარკვიანის აქციას. ყველა პარტიას აქვს თავისი გეგმა და რესურსი და ამის ფარგლებში მოქმედებენ.

მე პრეტენზია მაქვს შინაარსთან, რომ ჯერ მიშას თავისუფლება უნდა იყოს და მერე – რიგგარეშე არჩევნები, რაც არასწორი დამოკიდებულება მგონია. მიშას თავისუფლება გადის არჩევნებზე და მიშას თავისუფლების ერთ-ერთი გასაღები არის არჩევნები. არჩევნებისთვის ბრძოლა მიშას თავისუფლებისთვის ბრძოლას არ გამორიცხავს. მაკვირვებს ენმ-ის აქტივისტების ნაწილის განცხადებები, რომლებიც პოპულარული გახდა სოციალურ ქსელებში, რომელ რიგგარეშე არჩევნებზე ლაპარაკობთ და, მიშას თავისუფლების გარეშე თუ გინდათ არჩევნები, მაშინ ჩვენ არ მოვალთ არჩევნებზეო, ანუ ამით ამბობენ, რომ მიშას თავისუფლებას ხმას არ მისცემენ.

თუ ივანიშვილს ვაიძულეთ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, ეს იძულება იქნება და ეს ნიშნავს, რომ იძულებას დამორჩილებული ივანიშვილი აღარ არის ისეთი ძლიერი, ოღონდ ამას მოქმედება და მიღწევა სჭირდება. დასუსტება სჭირდება მას და ამისთვის საჭიროა სხვადასხვა პოლიტიკური მექანიზმის შექმნა როგორც საპროტესტო გამოსვლების, ასევე უამრავი სხვა კომპონენტის სახით. პარტიული აქტივის საპროტესტო გამოსვლებს არასოდეს უკმარია. უზარმაზარი საპროტესტო შეკრება ჰქონდა ენმ-ს, მაგრამ არ გაგიჟებულა ხელისუფლება ამის გამო. 7 ნოემბერს ჩვენ გადადგომით ვუპასუხეთ არა მანამდე გამართულ საპროტესტო აქციას, არამედ დარბევას. სარალიძის პროტესტის დროს პასუხი რაოდენობაზე კი არ იყო, არამედ აღშფოთებაზე.

***– მთავარია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი?***

– ორივე. საკმარისი რაოდენობა უნდა იყოს და არა „ძალიან“ დიდი და, ამავე დროს, ძალიან მოტივირებული. ძალიან გაბრაზებული და ძალიან მოტივირებული 10-კაციანი აქცია არ კმარა, ისევე, როგორც 100.000-იანი მიტინგი არ კმარა, როდესაც ადამიანებს გაბრაზება არ აქვთ, როდესაც პარტიული აქტივია ჩამოყვანილი და რომელთაც ერთი სული აქვთ, როგორც სწრაფად ჩამოვიდნენ, ისევე სწრაფად დაბრუნდნენ სახლში.

***– გაბრაზებაში ადმინისტრაციული შენობების ბლოკირებასაც გულისხმობთ და ამ ფორმას თუ რას?***

– არა, ეგ გაბრაზება არ არის. გაბრაზებაში გაბრაზებას ვგულისხმობ და ბლოკირება ბრძოლის მეთოდია. ბასიანისა და 20 ივნისის დროს გაბრაზება რაიმეს ბლოკირებით გამოიხატა?! მაგრამ გამოიხატა პროტესტის ემოციებით და ეს ემოციები ბევრ რამეში ჩანდა. ხელისუფლებამ, რომელიც ამ ემოციების ჩახშობას დარბევით შეეცადა, უკუშედეგი მიიღო, თორემ პირველ დღეს კობახიძის გადაყენებას არ აპირებდნენ და არც პროპორციულს, რაც არც იყო მოთხოვნილი. მაგრამ დარბევას მოჰყვა ის, რომ აღშფოთება გაიზარდა ახალგაზრდებში და ეს ბევრ რამეში დაინახა ხელისუფლებამ, რომ პროტესტი კი არა ჩაახშო, არამედ კიდევ უფრო გაზარდა. ამას მოჰყვა კობახიძის გადაყენებაც და პროპორციულის შემოთავაზებაც. დარბევას მაშინვე მოჰყვა რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა, რაც არ ყოფილა მანამდე დაყენებული. სწორედ ამაზე ვსაუბრობდი ინტერვიუს თავში, რომ ხელისუფლების შეცდომას, შესაძლოა, მოჰყვეს ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა და შედეგიც კი დააყენოს. სწორედ ამას ვგულისხმობდი. ასეთი რამეები მომხდარა და მომავალშიც შეიძლება მოხდეს, ოღონდ, არ შეიძლება, მხოლოდ ამის იმედად იყო.

# მოსამართლე ორკოდაშვილი: „სააკაშვილს სხდომაზე თუ არ მოიყვანენ, სასამართლო არ ჩატარდება“



– პატიმრობა რომ არ გაგვეუქმებინა, მიუხედავად შეწყალებისა, სააკაშვილი საპატიმროში დარჩებოდა. ახლა თუ სალომე ზურაბიშვილი იმ დასკვნამდე მივა, რომ შეიწყალებს, ჩვენთან პატიმრობა კი არა, არანაირი აღკვეთის ღონისძიება აღარ აქვს და გარეთ იქნება.

ამის შესახებ 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის საქმის განმხილველი კოლეგიის მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილმა განაცხადა, რითაც განმარტა, რატომ გაუუქმა სასამართლომ იმავე საქმის წინა სხდომაზე მიხეილ სააკაშვილს აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

გარდა ამისა, ორკოდაშვილს აქვს მოლოდინი, რომ სააკაშვილს 29 ნოემბერს ჩანიშნულ სხდომაზე მიიყვანენ და აცხადებს, რომ თუ ბრალდებული სასამართლო პროცესს არ დაესწრება, სხდომას არ ჩაატარებენ.

– ალბათ ვერავინ გაბედავს, რომ კონსილიუმის წინააღმდეგ წავიდეს და არ მოიყვანონ. თუ ისინი იტყვიან, რომ მისი ტრანსპორტირება შესაძლებელია. მაგრამ თუ არ მოიყვანენ, მის გარეშე საქმეს არ განვიხილავთ. რატომღაც მგონია, რომ იქნება სხდომაზე. უსვამენ ხაზს, რომ ფიზიკურად კარგადაა, გადაადგილება შეუძლია. პლუს ამას, იქამდე რამდენიმე დღეა, – განაცხადა ლიანა ორკოდაშვილმა.

ამასთან, მოსამართლე განმარტავს, რატომ გაიმართა წინა სასამართლო სხდომა სააკაშვილის დასწრების გარეშე.

– სასჯელაღსრულების დაწესებულება ემორჩილება იუსტიციის სამინისტროს და არა სასამართლო ხელისუფლებას. როდესაც ჩვენ მოგვდის საბუთი, სადაც წერია, რომ პატიმარი ვერ მოჰყავთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ ხომ ექიმები არ ვართ, ეს ადამიანი ან გზაში რომ გახდეს ცუდად ან სასამართლო პროცესზე და რამე დაემართოს, ჩვენ რა უნდა ვქნათ? – განაცხადა მოსამართლემ.

კითხვაზე, მიეცემა თუ არა სააკაშვილს მომდევნო სხდომაზე დასწრების შემთხვევაში სიტყვით გამოსვლის უფლება, მოსამართლე ორკოდაშვილი ამბობს, რომ თავად ამის წინააღმდეგი არ არის.

– საერთოდ, სასამართლო სხდომა არ არის პოლიტიკური სხდომა, სადაც ასეთი განცხადება უნდა გაკეთდეს. მაგრამ, ვინაიდან, გამორჩეულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და საუბარია მესამე პრეზიდენტზე, ასევე არის ეჭი, რომ ის სპეციალურად არ მოჰყავთ, რა თქმა უნდა, თუ მას მოიყვანენ, არც მე და ვფიქრობ, არც ჩემი კოლეგები არ იქნებიან წინააღმდეგი, რომ განცხადება გააკეთო, – განაცხადა ლიანა ორკოდაშვილმა.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ გავრცელებულ კადრებს, სადაც ასახულია, როგორც გადაჰყავთ სააკაშვილი რუსთავის მე-12 პენიტენციარული დაწესებულებიდან გლდანის ციხეში, ლიანა ორკოდაშვილი ამბობს, რომ ამ კადრებზე, როგორც ადამიანსა და მოსამართლეს, მძიმე რეაქცია ჰქონდა.

– ძალიან განვიცადე. მკვლელიც რომ იყოს ადამიანი, მისდამი მოქცევა ფარგლებში უნდა იჯდეს – რაც ჩვენ გვაჩვენეს, საკმაოდ მძიმე სანახავი იყო, – განაცხადა ორკოდაშვილმა.

მოსამართლე ასევე საუბრობს გლდანის ციხეში პატიმრების მხრიდან სააკაშვილის მიმართ შესაძლო ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე და ამბობს – „ყველაფერი უნდა გამოიკვლიო და თუ მიხვედი დასკვნამდე, რომ ამ ყველაფერმა ამ ადამიანის ტანჯვა გამოიწვია, შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცემა“.

რაც შეეხება საკითხს, რომ სააკაშვილის საქმე საერთაშორისო მოსამართლეებმა განიხილონ, ორკოდაშვილისთვის ეს შეურაცხმყოფელია.

– მე, როგორც მოსამართლეს, ეს შეურაცხყოფას მაყენებს. გამოდის, რომ საქართველოში, თურმე, არ ვართ ისეთი მოსამართლეები, რომლებიც გაბედულ და სამართლიან გადაწყვეტილებას მივიღებთ. რატომ უნდა განიხილოს უცხოელმა და რატომ არა ლია ორკოდაშვილმა? გადახედონ ჩემს წარსულს, – განაცხადა ლიანა ორკოდაშვილმა.

ამასთან, ორკოდაშვილმა ისაუბრა 7 ნოემბრის საქმეზე სააკაშვილის წინა სასამართლო სხდომის შემდეგ მოსამართლეების მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე და აღნიშნა, რომ ძალიან ინერვიულა.

– როგორც მოსამართლემ, თუ იცი, რომ თუნდაც ნული მთელი მემილიონედი რაღაც დაგიშავებია, გაჩუმდები, მაგრამ, როგორც ადამიანი და მოსამართლე, რომელსაც არაფერი დაგიშავებია, არ მიგიღია იმ ადამიანის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება და როდესაც შენზე ასეთ ინფორმაცია ვრცელდება... ექიმთან წასვლაც დამჭირდა ნერვებთან დაკავშირებით, ისეთი სერიოზული განცდა მქონდა. ძალიან ვინერვიულე, – განაცხადა ლიანა ორკოდაშვილმა ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათის“ ეთერში.

მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 29 ნოემბერს არის ჩანიშნული. ამ დროისთვის უცნობია, მისცემს თუ არა პენიტენციარული დაწესებულება სააკაშვილს სასამართლო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას.

**იპნ**

# რა კავშირშია ვაკეში სოსო ჯოხაძის მკვლელობა კიევში ირაკლი მალანიას ჩაცხრილვასთან

გახმაურებული მკვლელობისთვის მსჯავრდებული, რომელიც წლებია, დუმილის უფლებით სარგებლობს, დუმილს „კურიერთან“ არღვევს.

სოსო ჯოხაძის მკვლელობისთვის გასამართლებული ბადრი, იგივე ბადუკა ნათობაძე „კურიერს“ მას შემდეგ დაუკავშირდა, რაც რუსთავი 2-ის ეთერში ირაკლი მალანიაზე თავდასხმის შესახებ რეპორტაჟი იხილა.

სიუჟეტში „კურიერი“ მაყურებელს იმ ქართველ ავტორიტეტებზე მოუთხრობდა, რომლებიც კიევში მომხდარ თავდასხმაში არიან ბრალდებულები და მათგან ორს – ნოდარ ნიშნიანიძეს და ლაშა სიხარულიძეს უკრაინელი სამართალდამცავები ამ დრომდე ეძებენ.

„კურიერი“ პატიმართან საუბარში დაინტერესდა, არის თუ არა რამდენიმე დღის წინ კიევის სასამართლოს ეზოში სოსო ჯოხაძის მეგობრის, ირაკლი მალანიას ჩაცხრილვა 2016 წელს მომხდარი მკვლელობის გაგრძელება.



მსჯავრდებული ნათობაძე ადასტურებს, რომ ნიშნიანიძე მისი მეგობარია, თუმცა ვარაუდობს, რომ მას ირაკლი მალანიას ჩაცხრილვასთან კავშირი არ აქვს. ბადუკა ნათობაძე პირველად „კურიერთან“ აღიარებს, რომ რამდენიმე წლის წინ სწორედ მან ესროლა კრიმინალურ ავტორიტეტ სოსო ჯოხაძეს ვაკეში.

ნათობაძე უარყოფს, თუმცა „კურიერისთვის“ ცნობილი ხდება, რომ კიევის სასამართლოსთან უკვე ამოღებულია სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, სადაც ნიშნიანიძე თანამზრახველებთან ერთად ჩანს. ასევე, „კურიერმა“ გაარკვია, რომ ავტომობილი, რომლითაც თავდამსხმელები უკრაინის დედაქალაქში გადაადგილდებოდნენ, წინა დღეს სწორედ ნოდარ ნიშნიანიძის სახელზეა ნაქირავები. გავრცელებული ინფორმაციით, მალანიას ჩაცხრილვის შემდეგ ქართველმა კრიმინალებმა კიევი დატოვეს და ევროპაში იმალებიან. არსებობს ვერსია, რომ მათ უკან ცნობილი ე.წ. ავტორიტეტები – ძმები დავით და გიორგი ფეიქრიშვილები დგანან. ძმებთან მრავალწლიან კონფლიქტს უკავშირებენ ჯოხაძის მკვლელობასაც და შესაბამისად, ჯოხაძის მეგობარ მალანიაზე თავდასხმასაც.

ბადუკა ნათობაძე „კურიერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ფეიქრიშვილებთან ნაცნობობას არ უარყოფს, თუმცა მათთან რაიმე კავშირს კატეგორიულად გამორიცხავს. „კურიერმა“ ირაკლი მალანიაზე თავდასხმისა და სოსო ჯოხაძის სამეგობროსთან კონფლიქტის შესახებ ძმებ ფეიქრიშვილებთან დაკავშირებაც ცადა, თუმცა მათ მედიასთან კომუნიკაცია არ ისურვეს.

მედიასთან საუბარი არ სურთ არც მალანიების ოჯახს, მისი მეგობრის სოსო ჯოხაძის მკვლელობისთვის კი ბადუკა ნათობაძე 19-წლიან სასჯელს იხდის. მან გამოძიების ეტაპზე და სასამართლოშიც დუმილის უფლება გამოიყენა. გახმაურებული საქმის ფიგურანტმა დუმილი პატიმრობიდან ხუთი წლის შემდეგ პირველად „კურიერთან“ დაარღვია. ირაკლი მალანია 25 ნოემბერს კლინიკაში გარდაიცვალა. მალანია 10 დღის განმავლობაში კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თავდამსხმელებმა მას 10 ტყვია ესროლეს.

უკრაინის პოლიციამ ფაქტზე საქართველოს მოქალაქე გიორგი არუთინოვი დააკავა, ორ პირზე – ნოდარ ნიშნიანიძესა და ლაშა სიხარულიძეზე კი ძებნა გამოცხადდა.

## ნაძალადევში ნარკოდანაშაულისთვის 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული ა.ს. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ჩართული იყო ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის სქემაში. სამართალდამცველებმა ა.ს. ნაძალადევის რაიონში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მეტადონის შემცველი ნარკოტიკის სხვადასხვა ადგილზე განთავსებას აპირებდა.

„პოლიციამ ბრალდებულის პირადი, დროებითი საცხოვრებელი სახლისა და მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღო 157 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ და ამავე ნარკოტიკული საშუალების შემცველი ფხვნილი.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს. აღნიშნული დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ოზურგეთში გაზით 4 ადამიანი მოიწამლა

ოზურგეთში, ანასეულის უბანში, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად ოთხი ადამიანი მოიწამლა, მათ შორის ერთი მცირეწლოვანია. ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ოზურგეთის კლინიკა „მედალფაში“ გადაიყვანა.

ექიმის ინფორმაციით, რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული არიან 51 წლის, 69 წლის და 78 წლის ქალები, მათ ჩაუტარდათ ყველა საჭირო სამედიცინო მანიპულაცია. 3 წლის ბავშვი კი პედიატრიულ განყოფილებაში მკურნალობს.

ექიმების შეფასებით, ოთხივე პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია.

ადგილობრივების ინფორმაციით, გაზის გაჟონვის შედეგად მოწამლული ადამიანები მათივე ოჯახის წევრმა აღმოაჩინა და 112-ში დარეკა.

## ქობულეთში მიწის მესაკუთრე ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან კომპენსაციას ითხოვს

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოჩხამურში, კერძო მესაკუთრე სოსო ქათამაძე ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან კომპენსაციის მიღებას ითხოვს.

მისი განცხადებით, 2014 წელს, მის საკუთრებაში არსებული 4 ჰა მიწის ფართობზე ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მაღალი წნევის მილი გაიყვანა. მესაკუთრეს მტკიცებით, ამისთვის მას კორპორაციისგან ანაზღაურება არ მიუღია.

ქათამაძე ამბობს, რომ იგი წლების მანძილზე მიწის ფართობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის იყენებდა, დღეს კი მისი ოჯახი შემოსავლის წყაროს გარეშეა დარჩენილი.

მესაკუთრეს განცხადებით, ახლა კომპანია მილის გაყვანის სანაცვლოდ 4 ათას ლარს ჰპირდება, ეს თანხა კი მისთვის მიუღებელია.

სოსო ქათამაძე მოითხოვს შესაბამის კომპენსაციას ან კომპანიისგან მოითხოვს, მოხდეს ადგილმონაცვლეობა. მისი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქათამაძე ამბობს, რომ იძულებული გახდება, უკიდურეს ზომებს მიმართოს და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მილის გადაჭრით იმუქრება.

## ტყიბულის მაღაროში ნახშირის მასამ 2 ადამიანი მოიყოლა

### 1 მამაკაცი დაიღუპა

27 ნოემბერს ტყიბულში ქვანახშირის კერძო მოპოვების კარიერში ნახშირის მასა ჩამოიშალა. ნახშირის მასის ჩამოშლის შედეგად ნანგრევებში 2 ადამიანი მოჰყვა.

ნანგრევებიდან ერთი ადამიანის ხმა ისმოდა, რომელიც შველას ითხოვდა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ტყიბულში ერთ-ერთ მაღაროში მოხერხდა მიწის მასის ქვეშ მოყოლილ ერთ-ერთ ადამიანამდე ჩასვლა.

„მაშველებმა ჩაატარეს შახტის გამაგრებითი სამუშაოები, რათა უსაფრთხოდ ჩატარებულიყო ადგილზე გამოყვანის ღონისძიებები. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მეორე მოქალაქის ძებნა-შველის ღონისძიება“, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

მიწის მასის ქვეშ მოყოლილი მამაკაცის მეუღლის განცხადებით, მისი ქმარი ქვანახშირის კარიერში სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობდა.

– მეუბნებიან, რომ ჩემი მეუღლე ცოცხალია, მაგრამ ჯერ არ ამოუყვანიათ. დაახლოებით 12:00-13:00 საათზე მოხდა შემთხვევა. ჩემი მეუღლე 64 წლისაა, – განაცხადა ნანგრევებში მოყოლილი მამაკაცის მეუღლემ „ტვ პირველთან“ საუბრისას.

მაშველებმა 64 წლის ვიტალი ტურძილაძე ამოიყვანეს და ტყიბულის კლინიკაში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი მათ მიწის მასის ქვეშ მოყოლილი მეორე მამაკაცის ცხედარი ამოიყვანეს. ის ქუთაისში პროზექტურაში გადაასვენეს.

შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ იმერეთის მთავარი სამმართველოსა და განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციების რეაგირების მთავარი სამმართველოს ჯგუფები.

## რუსთავში მანქანამ შუახნის ქალი გაიტანა

რუსთავში, მესხიშვილის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევას ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, შუახნის ქალი ქვეითად გადაადგილდებოდა, როდესაც მას „ოპელის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

მესხიშვილის ქუჩაზე იმყოფებოდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებაც.

## დმანისთან ავარიაში ოჯახის 4 წევრი დაიღუპა

დმანისთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, 4-ვე გარდაცვლილი ერთი ოჯახის წევრი იყო.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

რუსთავი 2-ის ცნობით, მსუბუქ მანქანას სატვირთო დაეჯახა.

## საქართველოს უნივერსიტეტს ცეცხლი წაეკიდა

„საქართველოს უნივერსიტეტის“ შენობაში ხანძარი იყო. თვითმხილველის ინფორმაციით, ცეცხლი შენობის პირველ სართულზე გაჩნდა.

ადგილზე მეხანძრე-მაშველების რამდენიმე ეკიპაჟი იყო მობილიზებული. მათ ხანძრის ლიკვიდაცია მალევე შეძლეს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## თბილისში, მარჯანიშვილზე, ხანძარი გაჩნდა

თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე ხანძარი გაჩნდა. არსებული ინფორმაციით, ცეცხლი საცხოვრებელი სახლის სახურავს გაუჩნდა.

ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

## 30 იანვრისთვის 27 რუსი დიპლომატი აშშ-ს დატოვებს

27 რუსი დიპლომატი და მათი ოჯახის წევრები 2022 წლის 30 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებს იძულებით დატოვებენ და იმავე რაოდენობის რუსი დიპლომატიური პერსონალი დატოვებს ქვეყანას 30 ივნისსაც.



აშშ-ში რუსეთის ელჩმა ანატოლი ანტონოვმა აღნიშნა, რომ რუსი დიპლომატებისთვის აშშ-ში ვიზების პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

– ჩვენ გვაქვს სერიოზული კადრების დეფიციტი. რამდენიმე ჩვენი თანამემამულე დიპლომატის მეუღლეს წაართვეს აკრედიტაცია. ბავშვებს ვიზაზე უარი უთხრეს. არ მესმის, რისკენ არის მიმართული რუსი დიპლომატების ოჯახებთან დაშორების პოლიტიკა, – აღნიშნა ანატოლი ანტონოვმა.

აშშ-ში რუსეთის ელჩმა განაცხადა, რომ აშშ-ს არ შეუცვლია თავისი ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და აგრძელებს მის მოწინააღმდეგედ აღქმას. მისი თქმით, ვაშინგტონს არ შეუცვლია ანტიმოსკოვური სანქციების პოლიტიკა.

რუსეთის ელჩმა აღნიშნა, რომ ამერიკელი ოფიციალური პირები ცდილობენ რუს კოლეგებთან მხოლოდ აშშ-სთვის საინტერესო საკითხებზე მოლაპარაკებას და ორმხრივი კონტაქტისას განხილვის ერთადერთი თემა რუსეთის ფედერაციის მიერ დასავლეთის საზღვართან გატარებული აგრესიული პოლიტიკაა.

## აშშ სამხრეთ აფრიკასთან ავიამიმოსვლას აჩერებს

კორონავირუსის ომიკრონი შტამის გავრცელების გამო 29 ნოემბრიდან აშშ სამხრეთ აფრიკიდან და აფრიკის 7 სხვა ქვეყნიდან ავიამიმოსვლას შეაჩერებს.

ჯო ბაიდენის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ მოგზაურობას შეზღუდავენ ბოტსვანიდან, ზიმბაბვედან, ნამიბიიდან, ლესოტოდან, ესვატინიდან, მოზამბიკიდან და მალავიდან.

აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ამერიკის მოქალაქეებსა და მუდმივ რეზიდენტებზე, თუმცა აშშ-ში გამგზავრებამდე მათ კორონავირუსზე ტესტის უარყოფითი პასუხი უნდა წარადგინონ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გუშინ გამართულ საგანგებო სხდომაზე სამხრეთ აფრიკაში გამოვლენილ კორონავირუსის ახალ ვარიანტს „შემაშფოთებელი" უწოდა.

უწყებაში აცხადებენ, რომ ახალი ვარიანტის შესასწავლად რამდენიმე კვირა დასჭირდებათ, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ახალ ვარიანტს ძალიან ბევრი მუტაცია აქვს.

## პერუში 7,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 28 ნოემბერს, ქალაქ ბარანკა-დე-უპიადან 40 კილომეტრში, პერუს ჩრდილოეთით, 7,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა.



მიწისძვრის შედეგად დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ევროპა-ხმელთაშუა ზღვის სეისმოლოგიურმა ცენტრმა „ტვიტერში" განაცხადა, რომ მიწისძვრა ამაზონის ტროპიკული ტყეების ნაკლებად დასახლებულ რეგიონში მოხდა.

სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტოები, რომლებიც სხვადასხვა ლოკაციაზე მიყენებულ ზარალს ასახავს. ბიძგები იგრძნობოდა ეკვადორშიც.

მიწისძვრა პერუში საკმაოდ ხშირად ვლინდება. წყნაროკეანურ ცეცხლოვან რკალში პლანეტაზე მომხდარი სეისმური აქტივობების 85% ფიქსირდება.

## ისრაელი უცხოელებისთვის მთლიანად დაიკეტა

ისრაელი 14 დღის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ქვეყანაში არ შეუშვებს,

გადაწყვეტილება ხელისუფლებამ ახალი შტამის, ომიკრონის გავრცელების გამო 27 ნოემბერს, გვიან საღამოს მიიღო, დაწესდა სხვა რეგულაციებიც, რომლებიც გაფართოებულმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

იმის გარდა, რომ ქვეყანაში არაისრაელელების შესვლა იკრძალება, ძალაში შევა სამდღიანი სავალდებულო კარანტინი ისრაელის ყველა ვაქცინირებული მოქალაქისთვის, არავაქცინირებულებს კი 7-დღიანი კარანტინი მოუწევთ.

ისრაელში ამჟამად კორონავირუსის ახალი შტამის 2 შემთხვევაა დაფიქსირებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### სპორტი

## მორის ყვითელაშვილის გამარჯვებას რუსული მედია მისტირის



რუსეთის ქალაქ სოჭში გამართულ გრან პრის მე-6 ეტაპზე ფიგურული სტილით მოციგურავეთა შორის მედლების პირველი კომპლექტი მამაკაცებს შორის გათამაშდა. საპრიზო ადგილებისთვის 2 ქართველი სპორტსმენი იბრძოდა – მორის ყვითელაშვილი და სენიორების ეტაპების დებიუტანტი ნიკა ეგაძე.

2 პროგრამის ჯამში, 266.33 ქულით სოჭის ეტაპის გამარჯვებული და ოქროს მედლის მფლობელი ქართველი მოციგურავე მორის ყვითელაშვილი გახდა, ხოლო ეგაძე მე-11 ადგილზე გავიდა.

ამ რანგის ტურნირზე მოპოვებული ოქროს მედალი, რომელშიც 8 ქვეყნის რეიტინგული 12 მონაწილე მონაწილეობდა, პირველი შემთხვევაა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ისტორიაში.

ორჭიდის ჯამში ყვითელაშვილმა 266.33 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. არადა, მოკლე პროგრამის შემდეგ მე-2 იყო, თავისუფალში – მე-3, მაგრამ ჯამში საუკეთესო გახდა.

**მორის ყვითელაშვილი:**

– ვულოცავ სხვა პრიზიორებსაც. მაღალი კლასის ბრძოლა იყო. დღეს ყველაფერი არ გამომივიდა, მაგრამ საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ, რომ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა შევძელი. მადლობა მწვრთნელებს, მშობლებს, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციას, ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის სამინისტროს, რომლებსაც ყოველთვის სჯეროდათ ჩემი და მხარს მიჭერდნენ.

ვგრძნობ თუ არა, რომ ქართული ფიგურული ციგურაობის ისტორიას ვწერ? სიმართლე გითხრათ, ჯერ ვერ. ბოლომდე ვერ გავიაზრე, რას მივაღწიე აქ, სოჭში. ალბათ, დროთა განმავლობაში მივხვდები. მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ოქრო მოვიგე.

შეგახსენებთ, რომ ყვითელაშვილი რუსეთშია დაბადებული და ვარჯიშიც იქ დაიწყო. თუმცა, ნაკრებში ვერ ხვდებოდა და საქართველოს სახელით გამოსვლა არჩია.

სწორედ ამ ფაქტმა ააცრემლა რუსული მედია, მით უფრო, რომ ყვითელაშვილმა სოჭში მათ ფავორიტს, მიხაილ კოლიადას აჯობა.

აი, რას წერს რუსული მედია:

– თუთბერიძის „შეუმჩნეველმა" მოსწავლემ, მორის ყვითელაშვილმა მოულოდნელად, ჩვენი ნაკრების ლიდერები ჩამოიტოვა. იქნებ, არ ღირდა ყვითელაშვილის გაშვება? საქართველოს წარმომადგენელმა 2-ჯერ ბრწყინვალედ იასპარეზა, კარიერაში საუკეთესო შედეგებიც აჩვენა და უკან მოიტოვა რუსეთის ნაკრების ლიდერები, მიხაილ კოლიადას ჩათვლით. მორისმა სოჭში მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორის ტრიუმფი ჩაშალა. არადა, იყო დრო, როცა ყვითელაშვილი „არ გამოადგა" რუსეთის ნაკრებს და მანაც სპორტული მოქალაქეობა გამოიცვალა.

ორმაგი „ტულუპი", ოთხიანი და სამიანი „ტულუპების" კომბინაცია, სამმაგი აქსელი. ძალა აღარ ეყო „კვად-ტულუპზე", რასაც სპორტსმენის დაცემა მოჰყვა. სხვა მხრივ, მორისის გამოსვლა უნაკლო იყო. ფრენკ სინატრას სიმღერით ბრწყინვალე დადგმამ არავინ დატოვა გულგრილი. სპორტსმენმა საკუთარ თავს აჯობა. თავისუფალ პროგრამაში 170.96 ქულა მისი საუკეთესო მიღწევაა, ისევე, როგორც ქულები ჯამში. არადა, 2016 წლამდე რუსეთის სახელით გამოდიოდა. როგორც ჩანს, რუსეთს არ უნდა გაეშვა ეს ნიჭიერი სპორტსმენი.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ყვითელაშვილს უკვე მოპოვებული აქვს 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზური და მომავალი წლის დასაწყისში პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზეც იასპარეზებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## თეთრთავა არწივმა მეთევზეს დაჭერილი ზვიგენი თვალწინ ააცალა



ამერიკის იუტის შტატის მკვიდრმა ქალმა ფლორიდაში ყოფნის დროს ვიდეოზე გადაიღო შემთხვევა, როდესაც თეთრთავა არწივმა მის მეუღლეს ანკესით დაჭერილი ზვიგენი წაართვა. აღნიშნული ვიდეო ქალმა ტიკტოკში გამოაქვეყნა.

ამანდა რისმანის თქმით, ის მეუღლე ჩედთან ერთად პინელასის ოლქში ნათესავების მოსანახულებლად იმყოფებოდა. წყვილი პლაჟზე გავიდა მზის ჩასვლის ყურებით დასატკბობად. იქ ჩედმა გადაწყვიტა, საკუთარი მეთევზის ჩვევები შეემოწმებინა, ვინაიდან სწორედ იმავე დღეს მიიღო თევზაობის ნებართვა.

მეთევზის ანკესზე ზვიგენი წამოეგო. სანამ მამაკაცი ბიძასთან ერთად ანკესზე წამოგებული მტაცებელი თევზის გათავისუფლებისთვის ემზადებოდა, ზევიდან სწრაფად დაეშვა თეთრთავა არწივი. მტაცებელმა მამაკაცს ნადავლი წაართვა და გადასანსლა.

## ბანდიტებმა ლატარიის გამარჯვებულ საბავშვო ბაღის თანამშრომლებს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს



მექსიკაში ბანდიტებმა ცხოვრება ჯოჯოხეთად გადააუქციეს საბავშვო ბაღის თანამშრომლებს, რომლებმაც ლატარიაში 20 მილიონი პესო მოიგეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე ჩიაპის შტატის ქალაქ ოკოსინგოს სკოლამდელი დაწესებულება სახელმწიფო ლატარიის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა. გათამაშების შედეგები 2020 წლის სექტემბერში გამოცხადდა. ბილეთები ანონიმმა ქველმოქმედებმა შეიძინეს და ქვეყნის ყველაზე ღარიბ სკოლებსა და საბავშვო ბაღებს დაურიგეს.

დაწესებულების თანამშრომლები და მათი 20 აღსაზრდელის მშობლები ძალიან გახარებული დარჩნენ, როდესაც მსხვილი მოგების თაობაზე შეიტყვეს და გადაწყვიტეს, აღნიშნული თანხა მთლიანად დაწესებულების კეთილმოწყობისთვის გამოეყენებინათ, თუმცა მალე ისინი ადგილობრივი ბანდის ლოს პეტალესის მხრიდან დევნისა და მუქარის ობიექტად იქცნენ. ბოროტმოქმედებმა მოითხოვეს, რომ მოგებული თანხა მათ შეიარაღებას მოხმარებოდა, ვინაიდან დაპირისპირება აქვთ მეზობელი ქალაქის დანაშაულებრივ კლანთან.

საბავშვო ბაღის ადმინისტრაციამ და მშობლებმა უარი განაცხადეს, მათ მოთხოვნებს დამორჩილებოდნენ და თანხის ნაწილი დაწესებულების ახალი სახურავით გადახურვას მოახმარეს. მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ 2021 წელს დარჩენილი თანხა დაწესებულების ტერიტორიის კეთილმოწყობას მოხმარებოდა, ბანდიტების მხრიდან ზეწოლა გაძლიერდა.

მიმდინარე წლის მარტში ერთ-ერთი აღსაზრდელის მშობელი მოკლეს, ხოლო ოქტომბერში თავს დაესხნენ ქალებსა და ბავშვებს. ამის გამო 28 ოჯახი იძულებული გახდა, ქალაქიდან გაქცეულიყო. მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსშია ჩაყენებული და, სანამ ბანდის განიარაღება და განეიტრალება არ მოხდება, ისინი საკუთარ სახლებში ვერ დაბრუნდებიან.

## ძალიან იაფად შეძენილი ნახატი ცნობილი მხატვრის ნამუშევარი გამოდგა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში მამაკაცმა ბაზრობაზე ძალიან იაფად შეიძინა ნახატი, მოგვიანებით შეიტყო, რომ ის ცნობილი გერმანელი მხატვრის ალბრეხტ დიურერის ნამუშევარი იყო და რომლის ფასი, შესაძლოა, 50 მილიონი დოლარი აღმოჩნდეს.

მამაკაცს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 2016 წელს მოეწონა გარდაცვლილი არქიტექტორის ჟან-პოლ კარლიანის ოჯახის მიერ სხვა ნივთებთან ერთად გასაყიდად გამოტანილი გაყვითლებულ ტილოზე შესრულებული დედა-შვილის ნახატი. მან ნამუშევარი 30 დოლარად შეიძინა. მანამდე ის კარლიანის ოჯახში ინახებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მყიდველი ვერც კი იეჭვებდა, რომ მისი შენაძენი ალბრეხტ დიურერის ნაწარმოები იყო, მიუხედავად იმისა, რომ ნახატს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მონოგრამა – „A.D." ამშვენებდა.

ახლა უკვე ექსპერტები მას აფასებენ და შეთანხმდნენ, რომ საქმე ორიგინალთან გვაქვს. კოლექციონერმა კლიფორდ შორერმა განაცხადა: „ის მომენტი, როდესაც დიურერი დავინახე, დაუჯერებელი იყო. ეს ან ყველაზე დიდი ნაყალბევია, რომელიც კი ოდესმე შემხვედრია, ან შედევრი".

ნახატის ორიგინალობას ადასტურებს ორი მნიშვნელოვანი რამ: მხატვრის მონოგრამა იმავე მელნითაა შესრულებული, რომლითაც მთლიანად ნახატია შექმნილი და წყლისნიშნიან ქაღალდზეა შესრულებული, რომლის ნახვა მხატვრის მიერ გამოყენებულ 200-ზე მეტ ფურცელზეა შესაძლებელი.

## ბრმა მოტოციკლისტმა მართვის მოწმობა აიღო



დაბადებიდან უსინათლო ავსტრალიელმა ჩას მოლერნილსონმა ყველგანმავალი მოტოციკლის მართვის მოწმობის აღება მოახერხა.

იმისთვის, რომ ოცნება აესრულებინა, მამაკაცს მეგობრის დახმარება დასჭირდა. „ნავიგატორი" თავის უსინათლო მეგობარს გვერდით მიჰყვებოდა და ჩაფხუტში ჩანერგილი მიკროფონითა და ყურსაცმებით მითითებებსა და გასავლელ მარშრუტზე ინფორმაციას აწვდიდა.

– ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გაკეთდეს, მიეცეს გადამწყვეტი ინფორმაცია ცალკეულ წერტილებზე, მაგალითად: „თქვენ კურსის ამ ნაწილში იმყოფებით", შემდეგ კი, უბრალოდ, მართოთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, – განაცხადა მოლერ-ნილსონმა.

რა სისწრაფით ევლო და როგორ დაემუხრუჭებინა, ამას ის თავად წყვეტდა. ჯერჯერობით მეგობრების გუნდი უბრალო გადახრებსა და მოხვევებს ასრულებს, თუმცა დროთა განმავლობაში ამოცანის გართულებას გეგმავენ. ამ დროისთვის მეგობრები კვინსლენდის მოტოპარკის მიწის ტრეკზე გადაადგილდებიან მოტოციკლით.

## ქალმა წაგების შემდეგ სათამაშო ავტომატს ცეცხლი წაუკიდა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის მკვიდრმა წაგებით განაწყენებულმა ქალმა სათამაშო ავტომატს ცეცხლი წაუკიდა, რის შემდეგაც სხვა თავგადაკლული მოთამაშისგან ტყვია მიიღო.




პოლიციის მონაცემებით, სათამაშო ავტომატზე ორი ქალი თამაშობდა. წაგებული ქალი მარცხმა გააცოფა, მოწყობილობას საწვავი სითხე გადაასხა ცეცხლი წაუკიდა.

ამან უკვე მეორე აზარტული თამაშების მოყვარული ქალი გაანაწყენა, ვინაიდან მას იმავე ავტომატზე სურდა თამაშის გაგრძელება. ქალებმა ავტოსადგომზე სკანდალი მოაწყვეს, რომლის დროსაც ცეცხლის წამკიდებელი ქალი ტყვიით დაიჭრა.

დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მისი მდგომარეობა სტაბილურად ფასდება. ოპონენტი კი შემთხვევის ადგილიდან პოლიციის მისვლამდე მიიმალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

• საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# საქართველომ მსოფლიო ხმაურიანად დაიწყო

**საქართველო-უკრაინა 88:83**
**(28:24, 17:22, 19:20, 24:17)**

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გამარჯვებით დაიწყო. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა ტურნირის სადებიუტო მატჩში უკრაინა დაამარცხა. არადა, ქართველები მატჩის უმეტესი დროის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, ერთ ეპიზოდში 7 ქულითაც ჩამორჩნენ, თუმცა ყველაზე საჭირო მომენტში, ბოლო პერიოდში ერთ მუშტად შეიკრნენ და უხერხული მეტოქე დაამარცხეს.

ზუროსმა ტაქტიკური ბრძოლაც მოუგო თავის ვიზავის, უკრაინელთა ლატვიელ მწვრთნელ აინარს ბაგაცკისს. ჩვენი ნაკრების ბერძენმა თავკაცმა ნაკრების ლიდერთა ძალები კარგად გადაანაწილა და გადამწყვეტ მომენტში გამართული ტაქტიკის ხარჯზე გამარჯვება მოიპოვა.

ბერძენი სპეციალისტი ხშირ როტაციას მიმართავდა. პირველ ტაიმში შენგელია 13 წუთი ათამაშა, ბურჯანაძე – 12. საწყის 20 წუთში ფარქვეშ ხისტი თამაში გაჩაღდა, სამწამიანი ზონიდან ბურთის ჩაგდება ორივე მხარეს უჭირდა, სამაგიეროდ პერიმეტრიდან ორივე გუნდი შედეგიანი იყო. საქართველომ 7 სამქულიანი ჩააგდო, უკრაინამ – 5. ქართველთაგან 6 სამიანი თად მაკფადენის ანგარიშზე იყო, რომელმაც საწყისი ტაიმი 20 ქულით დაასრულა.

მესამე პერიოდში თანაბარი თამაში გაჩაღდა. უკრაინის ნაკრებმა რამდენჯერმე მიაღწია ხუთქულიან უპირატესობას, თუმცა ჩვენი გუნდი წამყვანი მოთამაშეების ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ჩამორჩენას მალევე აბათილებდა. აშკარა იყო, რომ ჩვენს ნაკრებს ამ თამაშს დაცვა მოაგებინებდა. საჭირო იყო მეტოქის გაჩერება უპირველესად პერიმეტრზე,. ჩვენმა კალათბურთელებმა ბოლო 5 წუთში მართლაც უბადლო დაცვა ითამაშეს და უკრაინელები მთელ მოედანზე შეავიწროვეს. შედეგად, სტუმრებმა მიჯრით რამდენიმე ბურთი დაკარგეს, შეტევაში კი თორნიკე შენგელიას, თად მაკფადენს, გიორგი შერმადინსა და ბექა ბურჯანაძეს გადამწყვეტ მომენტში ხელი გივი ბაქრაძემ და კახა ჯინჭარაძემაც შეაშველეს. საკვანძო მომენტში ჩვენმა გუნდმა დიდებულად ითამაშა, უკრაინა 6 ქულით ჩამოიტოვა და მატჩის ბედი საფინალო სირენამდე ადრე გადაწყვიტა.

ჩვენს ნაკრებში ბომბარდირი გახდა 7 სამიანის ჩამგდები თად მაკფადენი, რომელმაც 27 ქულასთან ერთად, 9 პასიც მიითვალა. ეფექტურობის კოეფიციენტით თანაბარი შედეგი აჩვენეს გიორგი შერმადინმა და თორნიკე შენგელიამ. შენგელიამ 16 ქულა, 13 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა, შერმადინის ანგარიშზე კი 23 ქულა და 4 პასი გაიფორმა.

ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში ესპანეთ სკოპიეში ჩავიდა ჩრდილოეთ მაკედონიასთან სათამაშოდ და 94:65 დაამარცხა.

სტუმრებმა მეტოქე აშკარად დაჯაბნეს, ყველა მეოთხედი მოიგეს და საბოლოოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ესპანელთაგან თორმეტივე კალათბურთელმა შესძინა თავის გუნდს ქულები, რაც მათი შემადგენლობის სიღრმეზე მეტყველებს. ასე რომ, სერხიო სკარიოლოს გუნდი რამდენადაც ნაკლებად ვარსკვლავური და გადახალისებული არ უნდა იყოს, ნებისმიერისთვის მაინც მრისხანე მეტოქეა,

საქართველოს ნაკრები უკვე ესპანეთშია, სადაც ანდალუსიის რეგიონის ქალაქ ხაენში მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე მატჩს მოქმედ ჩემპიონთან დღეს, 29 ნოემბერს გამართავს, უკრაინა კი ჩრდილოეთ მაკედონიას უმასპინძლებს.

**ილიას ზუროსი:**

– კალათბურთელები საკუთარ მოვალეობას შესანიშნავად გაუმკლავდნენ. შენგელიამ ორ დღეში 65 წუთი ითამაშა. ბურჯანაძემ და შერმადინმა შესანიშნავი სამუშაო შეასრულეს. კალათბურთელები, რომლებიც სეზონის დასაწყისში ტრავმირებულები იყვნენ, ბოლომდე დაიხარჯნენ. ამასთან რამდენიმე კალათბურთელი გვაკლდა. მოთამაშეებზე ინდივიდუალურად არ მინდა ვილაპარაკო. ახლა დასვენება გვჭირდება.

ამ ფანჯრისას კიდევ ერთი შესარჩევი შეხვედრა გვაქვს და კონცენტრაციის დაკარგვა არ შეიძლება. პირველი რაუნდის გადასალახად ამ მარათონისას რაც შეიძლება მეტი გამარჯვების მოპოვებაა აუცილებელი. შემდეგ უკვე ვნახავთ,



რისი უნარი გაგვაჩნია. ჩვენ გვესმოდა, რომ როდესაც ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გუნდში ჩამოდის, დანარჩენები თავდაჯერებულები ხდებიან. ჩვენ საქართველოს ჩემპიონატიდან ბევრი კალათბურთელი გვყავს, მაგრამ მათ გულშემატკივართა მძლავრი მხარდაჭერისას დიდ მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვთ.

ლეგიონერების ჩამოსვლამ გაგვახარა. ამან ხარისხიანად თამაშისა და მოგების საშუალება მოგვცა. მიხარია, რომ ამ რთულ დროში ბევრი ადამიანი გავაბედნიერეთ. უკრაინის ნაკრებს პატივს ვცემთ. ისინი შესანიშნავად იბრძოდნენ.

**თორნიკე შენგელია:**

– ძალიან რთული შეხვედრა იყო. მადლობა ყველას, ვინც ჩვენ მხარდასაჭერად მოვიდა. საჭირო მომენტში ისინი ენერგიას გვძენდნენ. მათ ჩვენი სჯეროდათ და დამატებით ძალას გვაძლევდნენ.

უკრაინამ კარგად ითამაშა. მიხარია, რომ მოვიგეთ. სამწვრთნელო შტაბმა შესანიშნავი სამუშაო შეასრულა, გუნდის მომზადებისას სიბრძნე და პროფესიონალიზმი გამოამჟღავნა. მთელი ჩვენი გუნდით ვამაყობ.

ბავშვობიდან ერთნაირი მოტივაცია მაქვს. პატარაობიდან ვაკვირდებოდი საქართველოს ნაკრების თამაშს. ჯერ კიდევ ნბა-ში გამგზავრებამდე ეროვნულ გუნდში თამაშზე ვოცნებობდი. ეს მოტივაცია დღემდე შევინარჩუნე. არაფერი არ შეცვლილა. 100%-ით მოტივირებული ვარ.

**აინარს ბაგატსკისი:**

– როგორც ველოდით, საქართველოს 4 აშკარა ლიდერი ჰყავს. თუმცა, მათ გუნდურად ითამაშეს. ჩვენ მატჩისწინა დავალებას მანამდე ვასრულებდით, ვიდრე კარგ გადაწყვეტილებებს შეტევასა და დაცვაში ვიღებდით. თუმცა, ეს კალათბურთია, იმპროვიზაციის თამაში.

არც იმდენად გულუბრყვილონი ვიყავით, რომ საქართველოსთან ადვილი შეხვედრის იმედი გვქონოდა. მეტოქის ლიდერებისა და მათი ევროპულ კალათბურთში როლის გათვალისწინებით, ცხადი იყო, რომ რთული თამაში გველოდა. დილის ვარჯიშზე ტრავმის გამო ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი გამოგვაკლდა. ამან ჩვენი როტაცია შეცვალა. ეს იყო სიტუაცია, რომლისთვისაც არ ვემზადებოდით.

შერმადინი გარკვეულ მომენტებში ფარზე დომინირებდა. ვიტყვი, რომ უკეთესმა გუნდმა კი არ გაიმარჯვა, არამედ რომელსაც გარკვეულ ვითარებაში უფრო გაუმართლა; გუნდმა, რომელმაც ზოგიერთ მომენტში უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღო, განსაკუთრებით ბოლოს;

ჩვენ საქართველოსთან მე-2 მატჩიც გვექნება. მნიშვნელოვანია ქულათა სხვაობა. არ ვიცი, 5 ბევრია თუ ცოტა. კალათბურთში მნიშვნელოვანი მიმდინარე მომენტია. საჭიროა, თავაწეული იყო, რადგან მომდევნო მატჩში შინ სერიოზულ მეტოქეს ვხვდებით.

**ბოგდან ბლიზნიუკი:**

– რთული შეხვედრა გამოვიდა. ზოგიერთ მომენტში კონცენტრაცია და დისციპლინა არ გვეყო. დასაწყისში მაკფადენს ათამაშების საშუალება მივეცით, რომელმაც ბევრი ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო. შემდეგ მან თვითდაჯერებულობა იგრძნო. ასეთი კალათბურთელის გაჩერება ძნელი იყო. მან სხვა თანაგუნდელებს რწმენა შემატა.

ვთვლი, რომ სწრაფ გაქცევებში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ზოგიერთ მომენტში წარმატება არ გვეყო. თავს არ ჩავქინდრავთ, ორიოდ დღის მერე შემდეგი მატჩი გვაქვს.

## შედეგები

### 27 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ნიუკასლი ........ 2:0
კრ.პალასი-ასტონ ვილა ........ 1:2
ლივერპული-საუთჰემპტონი ........ 4:0
ნორვიჩი-ვულვზი ........ 0:0
ბრაიტონი-ლიდსი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-4 | 29 |
| 2.ლივერპული | 13 | 8 | 4 | 1 | 39-11 | 28 |
| 3.სიტი | 12 | 8 | 2 | 2 | 25-6 | 26 |
| 4.ვესტ ჰემი | 12 | 7 | 2 | 3 | 23-14 | 23 |
| 5.არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 15-17 | 23 |
| 6.ვულვზი | 13 | 6 | 2 | 5 | 12-12 | 20 |
| 7.ტოტენჰემი | 12 | 6 | 1 | 5 | 11-17 | 19 |
| 8.ბრაიტონი | 13 | 4 | 6 | 3 | 12-14 | 18 |
| 9.მანჩესტერი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-21 | 17 |
| 10.კრ.პალასი | 13 | 3 | 7 | 3 | 19-19 | 16 |
| 11.ასტონ ვილა | 13 | 5 | 1 | 7 | 18-21 | 16 |
| 12.ევერტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-19 | 15 |
| 13.ლესტერი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-21 | 15 |
| 14.საუთჰემპტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-18 | 14 |
| 15.ბრენტფორდი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-17 | 13 |
| 16.უოტფორდი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-20 | 13 |
| 17.ლიდსი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-20 | 12 |
| 18.ბარნლი | 12 | 1 | 6 | 5 | 14-20 | 9 |
| 19.ნორვიჩი | 13 | 2 | 3 | 8 | 7-27 | 9 |
| 20.ნიუკასლი | 13 | 0 | 6 | 7 | 15-29 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

პრესტონი-ფულემი ........ 1:1
ბირმინგემი-ბლექპული ........ 1:0
ბორნმუთი-ქოვენთრი ........ 2:2
ლუთონი-კარდიფი ........ 1:2
პიტერბრო-ბარნსლი ........ 0:0
სტოკი-ბლექბერნი ........ 0:1
სუონსი-რედინგი ........ 2:3
ჰადერსფილდი-მიდლსბრო ........ 1:2
ჰალი-მილუოლი ........ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ფრაიბურგი ........ 2:1
ვოლფსბურგი-დორტმუნდი ........ 1:3
ჰერტა-აუგსბურგი ........ 1:1
ფიურტი-ჰოფენჰაიმი ........ 3:6
კიოლნი-გლადბახი ........ 4:1
ბაიერნი-არმინია ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 10 | 1 | 2 | 42-13 | 31 |
| 2.დორტმუნდი | 13 | 10 | 0 | 3 | 33-19 | 30 |
| 3.ფრაიბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-13 | 22 |
| 4.ლევერკუზენი | 12 | 6 | 3 | 3 | 25-17 | 21 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 13 | 6 | 2 | 5 | 27-20 | 20 |
| 6.უნიონი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-17 | 20 |
| 7.ვოლფსბურგი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8.ლაიფციგი | 12 | 5 | 3 | 4 | 23-13 | 18 |
| 9.მაინცი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-14 | 18 |
| 10.კიოლნი | 13 | 4 | 6 | 3 | 22-22 | 18 |
| 11.გლადბახი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 12.ბოხუმი | 13 | 5 | 1 | 7 | 12-20 | 16 |
| 13.აინტრახტი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-16 | 15 |
| 14.ჰერტა | 13 | 4 | 2 | 7 | 13-27 | 14 |
| 15.შტუტგარტი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-23 | 13 |
| 16.აუგსბურგი | 13 | 3 | 4 | 6 | 12-22 | 13 |
| 17.არმინია | 13 | 1 | 6 | 6 | 9-19 | 9 |
| 18.ფიურტი | 13 | 0 | 1 | 12 | 11-39 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-ჰანოვერი ........ 4:0
შალკე-ზანდჰაუზენი ........ 5:2
აუე-დარმშტადი ........ 1:2
კილი-ვერდერი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 13 | 9 | 3 | 1 | 32-14 | 30 |
| 2.სოსიედადი | 14 | 8 | 5 | 1 | 19-10 | 29 |
| 3.სევილია | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 4.ატლეტიკო | 13 | 7 | 5 | 1 | 22-13 | 26 |
| 5.რაიო | 15 | 7 | 3 | 5 | 23-16 | 24 |
| 6.ბეტისი | 14 | 7 | 3 | 4 | 22-17 | 24 |
| 7.ბარსელონა | 14 | 6 | 5 | 3 | 23-16 | 23 |
| 8.ბილბაო | 14 | 4 | 8 | 2 | 13-10 | 20 |
| 9.ვალენსია | 15 | 4 | 7 | 4 | 22-21 | 19 |
| 10.ოსასუნა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-18 | 19 |
| 11.ესპანიოლი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-14 | 17 |
| 12.ვილიარეალი | 14 | 3 | 7 | 4 | 16-16 | 16 |
| 13.სელტა | 15 | 4 | 4 | 7 | 16-19 | 16 |
| 14.მალიორკა | 15 | 3 | 7 | 5 | 14-22 | 16 |
| 15.ალავესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-19 | 14 |
| 16.გრანადა | 14 | 2 | 6 | 6 | 14-22 | 12 |
| 17.კადისი | 14 | 2 | 6 | 6 | 12-23 | 12 |
| 18.ელჩე | 14 | 2 | 5 | 7 | 11-20 | 11 |
| 19.ხეტაფე | 15 | 2 | 4 | 9 | 10-19 | 10 |
| 20.ლევანტე | 14 | 0 | 7 | 7 | 12-25 | 7 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-სელტა ........ 1:2
ვალენსია-რაიო ........ 1:1
მალიორკა-ხეტაფე ........ 0:0
ვილიარეალი-ბარსელონა ........ 1:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბურგოსი-მალაგა ........ 3:0
ალმერია-უესკა ........ 0:0
ხიხონი-ფუენლაბრანდა ........ 1:1
ვალიადოლიდი-კარტახენა ........ 2:0

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-ვერონა ........ 3:1
ემპოლი-ფიორენტინა ........ 2:1
იუვენტუსი-ატალანტა ........ 0:1
ვენეცია-ინტერი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 10 | 2 | 1 | 26-7 | 32 |
| 2.მილანი | 13 | 10 | 2 | 1 | 29-15 | 32 |
| 3.ინტერი | 14 | 9 | 4 | 1 | 34-15 | 31 |
| 4.ატალანტა | 14 | 8 | 4 | 2 | 28-17 | 28 |
| 5.რომა | 13 | 7 | 1 | 5 | 23-15 | 22 |
| 6.იუვენტუსი | 14 | 6 | 3 | 5 | 18-16 | 21 |
| 7.ლაციო | 13 | 6 | 3 | 4 | 25-21 | 21 |
| 8.ფიორენტინა | 14 | 7 | 0 | 7 | 21-19 | 21 |
| 9.ვერონა | 14 | 5 | 4 | 5 | 28-25 | 19 |
| 10.ემპოლი | 14 | 6 | 1 | 7 | 21-26 | 19 |
| 11.ბოლონია | 13 | 5 | 3 | 5 | 19-24 | 18 |
| 12.ტორინო | 13 | 5 | 2 | 6 | 17-13 | 17 |
| 13.უდინეზე | 14 | 3 | 6 | 5 | 16-20 | 15 |
| 14.სასუოლო | 13 | 4 | 3 | 6 | 19-20 | 15 |
| 15.სამპდორია | 14 | 4 | 3 | 7 | 20-26 | 15 |
| 16.ვენეცია | 14 | 4 | 3 | 7 | 12-21 | 15 |
| 17.სპეცია | 13 | 3 | 2 | 8 | 15-31 | 11 |
| 18.ჯენოა | 14 | 1 | 7 | 6 | 17-26 | 10 |
| 19.კალიარი | 14 | 1 | 5 | 8 | 16-29 | 8 |
| 20.სალერნიტანა | 14 | 2 | 2 | 10 | 11-29 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

ალესანდრია-კრემონეზე ........ 1:0
ასკოლი-მონცა ........ 1:1
ბენევენტო-რეჯინა ........ 4:0
კოზენცა-სპალი ........ 0:1
ფროზინონე-პორდენონე ........ 2:2
ბრეშა-პიზა ........ 0:1
პერუჯა-ჩიტადელა ........ 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლილი-ნანტი ........ 1:1
ნიცა-მეცი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 13 | 1 | 1 | 35-15 | 40 |
| 2.ნიცა | 15 | 8 | 3 | 4 | 25-12 | 26 |
| 3.რენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-12 | 25 |
| 4.ლანსი | 15 | 7 | 4 | 4 | 27-20 | 25 |
| 5.მარსელი | 13 | 6 | 5 | 2 | 20-12 | 23 |
| 6.ანჟე | 15 | 5 | 7 | 3 | 22-18 | 22 |
| 7.სტრასბური | 14 | 5 | 4 | 5 | 25-19 | 19 |
| 8.მონაკო | 14 | 5 | 4 | 5 | 19-18 | 19 |
| 9.ლიონი | 13 | 5 | 4 | 4 | 21-21 | 19 |
| 10.მონპელიე | 14 | 5 | 4 | 5 | 21-21 | 19 |
| 11.ნანტი | 15 | 5 | 4 | 6 | 20-20 | 19 |
| 12.ლილი | 15 | 4 | 6 | 5 | 19-22 | 18 |
| 13.ბრესტი | 14 | 3 | 6 | 5 | 20-21 | 15 |
| 14.ლორიანი | 14 | 3 | 6 | 5 | 13-21 | 15 |
| 15.რეიმსი | 14 | 2 | 7 | 5 | 15-18 | 13 |
| 16.ბორდო | 14 | 2 | 7 | 5 | 21-30 | 13 |
| 17.ტრუა | 14 | 3 | 4 | 7 | 13-22 | 13 |
| 18.კლერმონი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-28 | 13 |
| 19.მეცი | 15 | 2 | 6 | 7 | 17-30 | 12 |
| 20.სტ.ეტიენი | 15 | 2 | 6 | 7 | 17-31 | 12 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სიტარდი-გრონინგენი ........ 1:4
ზვოლე-ვალვაიკი ........ 0:0
ტილბურგი-იგლზი ........ 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფამილიკაო-პორტიმონენშე ........ 0:3
აროუკა-ბოავიშტა ........ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-სოჭი ........ 1:1
ახმატი-როსტოვი ........ 2:0
ხიმკი-კრასნოდარი ........ 3:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერენი-სტ.ტრუიდენი ........ 2:0

**სერენის მე-2 გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა**

სერკლი-მეხელენი ........ 3:1
ეუპენი-კორტრაიკი ........ 2:2
შარლერუა-ანდერლეხტი ........ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ვოლფსბერგერი ........ 0:1
აუსტრია-ზალცბურგი ........ 2:1
ალტახი-ტიროლი ........ 0:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-დ.იუნაიტედი ........ 1:1
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი ........ 1:2
დანდი-მოზერველი ........ 3:0
ჰართსი-სტ.მირენი ........ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ალანია ........ 3:0
რიზე-ქაისერი ........ 1:0
ბეშიქთაში-გირესუნი ........ 0:4

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ატრომიტოსი ........ 6:2
აპოლონი-ლამია ........ 0:0
იანინა-აეკი ........ 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლუგანო ........ 0:1
სიონი-სტ.გალენი ........ 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-სლოვაცკო ........ 3:2
ზლინი-ბანიკი ........ 2:2
პარდუბიცე-სიგმა ........ 1:5
პლზენი-ბოჰემიანსი 1905 ........ 6:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-გურნიკი ........ 1:2
სლასკი-სტალი ........ 2:1
პოგონი-ლეხია ........ 5:1
ჩენსტოხოვა-ზაგლებიე ........ 4:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კიშვარდა-მტკ ........ 5:0
ფეჰერვარი-დირმოტი ........ 3:2
ჰონვედი-უიპეშტი ........ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-დინამო ........ 0:2
ჩერნომორეცი-დესნა ........ 0:1
დნიპრო-ვორსკლა ........ 5:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-სტრომგოდსეტი ........ 4:1
ოდ გრელანდი-ვალერენგა ........ 1:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 2. ღვინის ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 3. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 4. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 8. მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებათა შემკრები ნაგებობა; 9. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ერთ-ერთი სრუტე; 11. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 12. დედალი ჯიხვი; 14. ირლანდიური ცეკვა; 16. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 17. რაიონული ცენტრი გურიაში; 19. ქერისა და ჭვავისაგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 21. ნავსადგური უკრაინაში.

**თარაზულად:** 5. ჩინური ნავთობკომპანია; 6. ქალაქი ავსტრიაში; 7. ესპანელი მხატვარი; 10. კომპანია „ამაზონის" მფლობელი; 13. ფულის ერთეული ანგოლაში; 15. გულუბრყვილო, მიამიტი ქალების როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში ძველად; 18. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 20. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 22. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთის აღმოსავლეთში; 23. ქალაქი მესხეთში; 24. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თრიაქი; 2. დონგი; 3. მიოპია; 4. მეტეხი; 6. ესკადრა; 9. ცედრა; 11. დუაიენი; 15. იმუნიტეტი; 16. ჩაქურა; 17. ჰიუსტონი; 19. ინდოეთი; 16. ბარტერი; 22. თაბახი.

**თარაზულად:** 5. კრუზეირო; 7. სადროშო; 8. უტოპია; 10. მოტიდიდა; 12. ხიხვი; 13. აბუჯა; 14. გარინტური; 18. გრიგი; 20. ჩაკირი; 23. ფაზისი; 24. რუხი; 25. ბერეტა; 26. ხოტი; 27. პროტონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დებეტი; 2. გიენოსი; 3. ქობულაძე; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. სკოტები; 12. იავა; 14. შინი; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. კამენა; 21. გენკი.

**თარაზულად:** 5. კოტირება; 6. ბენეტონი; 7. ინტერპოლი; 10. ჯალიტბა; 18. ვენერა; 15. ავსტრია; 18. ასკოტი; 20. ემისია; 22. სამეგრელო; 23. სტეტსონი; 24. ოკულისტი.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0967

ევრო — 3.4931

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1233

100 რუსული რუბლი — 4.1048

## ამინდის პროგნოზი 29 ნოემბრისათვის




## დეპაი: „გოლის დროს გადაწყვეტილება სწრაფად მივიღე“



ბარსელონის ჰოლანდიელმა შემტევმა მემფის დეპაიმ ვილიარეალთან გატანილ გოლზე ისაუბრა და თქვა, რომ იმ მომენტში გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო და შედეგს ამიტომ მიაღწია.

დეპაის აზრით, ბარსელონას პროგრესი აქვს:

– მეკარეს შევხედე და გადაწყვეტილება წამის მეასედში მივიღე. მიხარია, რომ გოლი გავიტანე და, რაც მთავარია, შედეგს მივაღწიეთ. რთული შეხვედრა იყო და ჩვენ მხოლოდ წინ ვიყურებით.

## კილიან მბაპეს ახალი კონტრაქტის გაფორმება ისევ არ სურს



პსჟ-ს ვარსკვლავი კილიან მბაპე ისევ უარს ამბობს გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე და ეს იმას ნიშნავს, რომ მას ზაფხულში გუნდის დატოვება სურს.

მბაპეს შემდეგი გუნდი, სავარაუდოდ, რეალი იქნება, თუმცა არსებობს სხვა ვარიანტებიც, მაგალითად, ლივერპული – იურგენ კლოპს სურს მბაპეს თავის გუნდში ხილვა.

თვითონ მბაპე ჯერჯერობით თავის მომავალზე კომენტარს არ აკეთებს.

## სალაჰმა მცირე ტრავმა მიიღო



ლივერპულის ერთ-ერთმა ლიდერმა მოჰამედ სალაჰმა მცირე ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, მას რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება მოუხდეს. ამის შესახებ იურგენ კლოპმაც ისაუბრა. მისი თქმით, სალაჰის არყოფნა გუნდზე არ იმოქმედებს, რადგან ლივერპულს ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს:

– ბუნებრივია, სალაჰის თამაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ მის გარეშეც შეგვიძლია ფონს გასვლა, რადგან ჩვენ ლივერპული ვართ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ქალს ლატარიაში გამარჯვება ხუმრობა ეგონა და კინაღამ მოგების გარეშე დარჩა




ავსტრალიაში ახალგაზრდა ქალმა საჩუქრად მიიღო მომგებიანი ლატარიის ბილეთი, ეს ყოველივე შეყვარებულის მხრიდან გახუმრებად მიიჩნია და კინაღამ 260 ათასი ავსტრალიური დოლარის გარეშე დარჩა.

ქალმა ქალაქ მელბურნიდან, რომლის ვინაობა არ მჟღავნდება, თავისი მეგობარი მამაკაცისგან საჩუქრად რამდენიმე ლატარიის ბილეთი მიიღო. მან ერთ-ერთ ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და ნახა, რომ მსხვილი მოგების მფლობელი გახდა, თუმცა იფიქრა, რომ ეს მისი შეყვარებულის მხრიდან გამასხარავება იყო და ბილეთი ნაგავში მოისროლა.

მოგვიანებით ის მაინც შეფუცხუნდა, სანაგვე სათლი გადაქექა და ბილეთი იპოვა. ამის მიუხედავად, მამაკაცს სამჯერ მოუხდა ქალისთვის ბედნიერი ბილეთის უკანა მხარეზე დაწერილი ინსტრუქციის წაკითხვა, სანამ ის გონს მოვიდოდა და დაიჯერებდა, რომ მართლაც გათამაშების გამარჯვებული გახდა.

– არ ვიცი, რას გავაკეთებ ამ ფულით, ჯერ ისევ გონს მოვდივარ. ვფიქრობ, უეჭველად სახლი უნდა ვიყიდო, – განაცხადა ქალმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 29 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **მორიელი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ცოლი ქმარსეუბნება:

– ძვირფასო, ხვალიდან დიეტაზე დავჯდები, მხოლოდ ლობსტერებს, ტრიუფელებსა და ომარებს შევჭამ.

– ბარემ პირდაპირ ფულის ჭამა დაგეწყო.

●●●

ქმარი სახლში მიირბენს, დიდ ჩანთას აიღებს და სასწრაფოდ თავისი ნივთების ჩალაგებას დაიწყებს. გაკვირვებული ცოლი ეკითხება:

– ძვირფასო, რა მოხდა, სად მიდიხარ?

– ნიკარაგუაში!

– რისთვის?

– იქ თურმე ქალები ერთხელ სექსისთვის მამაკაცს ხუთ დოლარს უხდიან!

ცოლიც ეცა მეორე დიდ ჩანთას და თავისი ნივთების ჩალაგება დაიწყო. ქმარი ეკითხება:

– და შენ საით?

– ნიკარაგუაში!

– რისთვის?

– მინდა ვნახო, თვეში ათ დოლარად როგორ იცხოვრებ!

●●●

დილით ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, მაპატიე, გუშინ კორპორატიულზე ზედმეტი მომივიდა, არც კი მახსოვს, სახლში როგორ მოვედი, ნორმალურად მაინც ვიქცეოდი?

– ნუ ნერვიულობ... ყველაფერი ნორმალურად იყო, საოცრად თავაზიანი იყავი. ფულსაც კი მიტენიდი... ტრუსიკში.

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– ესეც ასე, აი, თქვენი დიეტა: დღეში 300 გრამი მოთუშული ყაბაყი, 400 გრამი მწვანილი და სალათის ფურცლები, რამდენიც გინდა.

– ექიმო, კისერზე ზანზალაკის ჩამოკიდება აუცილებელია თუ მის გარეშე ძოვაც შეიძლება?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ამ ახალ წელს რა ჩაიფიქრე?

– უფრო წარმატებული გავხდე!

– ანუ გინდა, რომ წელს უფრო წარმატებით იკოტრიალო დივანზე, ვიდრე გასულ წელს კოტრიალობდი?

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– დებილი ვიყავი, შენ ცოლად რომ გამოგყევი!

– ჰო, ეგ, რომ მცოდნოდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინი ბადურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო



მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა და მასზე კლიპიც გადაიღო.

ნინიმ თავის გულშემატკივრებს სიახლის შესახებ ინტერნეტით შეატყობინა და ახალი ნამუშევარიც გაუზიარა.

„თუდეი“ („დღეს“) – ასე ჰქვია სიმღერას, რომელსაც მომღერალი ასრულებს.

ნინი ბადურაშვილის ახალმა კლიპმა და სიმღერამ დიდი მოწონება და ბევრი დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

## დემნა გვასალიამ საშობაო მოსართავები გამოუშვა



ქართველმა დიზაინერმა დემნა გვასალიამ გულშემატკივრებს სასიამოვნო სიახლე შესთავაზა – ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ის სამზადისში აქტიურად ჩაერთო.

დემნამ საშობაო მოსართავები შექმნა, რომლებიც უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქართველი დიზაინერის მიერ შექმნილი მოსართავები დემნას მიერ შექმნილ სამოსს, აქსესუარებსა და ფეხსაცმელებს აერთიანებს.

## ირაკლი ჩარკვიანი 60 წლის გახდებოდა



მომღერალი ირაკლი ჩარკვიანი 60 წლის გახდებოდა. ხელოვანის დაბადების დღე მისმა გულშემატკივრებმა პანდემიის გამო მოკრძალებულად აღნიშნეს.

ირაკლი ჩარკვიანის მუსიკა, პოეზია და მწერლობა დღესაც აქტუალურია. მის სიმღერებს მსმენელი ხშირად აკრიტიკებდა, თუმცა, რაც დრო გადის, დღესავით ნათელია, რომ მისი შემოქმედება რადიკალურად განსხვავებულია სხვა ქართველი ხელოვანების შემოქმედებისგან.

ირაკლი ჩარკვიანი პირველად სცენაზე ჯგუფ „არიშნთან“ ერთად გამოჩნდა, შემდეგ კი „ტაქსის“ წევრი გახდა. მოგვიანებით ხელოვანმა სოლოკარიერა დაიწყო, რასაც მისი პოპულარობაც მოჰყვა. ირაკლიმ ფსევდონიმად „მეფე“ აირჩია.

ირაკლი ჩარკვიანი 44 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა ირაკლი ჩარკვიანის ლექსების კრებული „მეფე ირაკლის ლექსები“, მეგობარმა მუსიკოსებმა და მომღერლებმა მისი სიმღერები ახლებურად ააჟღერეს და სპეციალური ალბომიც ჩაწერეს.

ირაკლი ჩარკვიანის 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით დედა ენის ბაღში როკო ირემაშვილისა და ვლადიმერ იმერლიშვილის მიერ შექმნილი სკულპტურული კომპოზიცია გაიხსნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პენსიონერის მკვლელი 20 წლის შემდეგ მისი ხელჩანთის სახელურით დაიჭირეს



დიდ ბრიტანეთში დაიჭირეს პენსიონერი ქალის მკვლელი, რომელიც მართლმსაჯულებას 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემალებოდა.

ლონდონის პოლიციის სამმართველომ მოახერხა, გაეხსნა ძარცვის დროს ჩადენილი მკვლელობის საქმე და დაეკავებინა დამნაშავე 2021 წელს მსხვერპლის ხელჩანთის სახელურზე აღმოჩენილი დამნაშავის დნმ-ის ნიმუშის წყალობით.

გამოძიების მონაცემებით, ჯუნიორ იანგი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს 18 წლის იყო, თანამზრახველთან ერთად 2001 წლის 30 აპრილს თავს დაესხა 86 წლის ჰილდა ლორკეტს. ახალგაზრდები ხანდაზმულ ქალს ფიზიკურად გაუსწორდნენ, წაართვეს საფულე, რომელშიც 15 ფუნტი სტერლინგი ედო, ხელჩანთა შეძენილი პროდუქტებით და ავტობუსით მგზავრობის ბილეთი. ქალი საავადმყოფოში ქალა-ტვინის დაზიანებითა და ფეხის მოტეხილობით იქნა მოთავსებული. ლორკეტი ორი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

გამოძიება მტკიცებულებების არარსებობის გამო სწრაფად შევიდა ჩიხში. ამის მიუხედავად, იანგი საქმეში ეჭვმიტანილის სახით გადიოდა და თავდასხმიდან რამდენიმე კვირაში იქნა დაპატიმრებული, თუმცა მალევე გაათავისუფლეს ბრალის წაყენების გარეშე.

ექსპერტებმა ახალი მონაცემების მიღება მხოლოდ 2021 წელს დაღუპულის ხელჩანთის სახელურზე აღმოჩენილი იანგის დნმ-ის ნიმუშით შეძლეს. სასამართლოში ის სრულიად უარყოფდა საკუთარ დანაშაულს და აცხადებდა, რომ სახელურზე მისი დნმ, შესაძლოა, შემთხვევით მოხვედრილიყო.

ამ დროისთვის იანგი ძარცვისა და არაგანზრახ მკვლელობის ბრალდებით პატიმრობაში იმყოფება. ნაფიცმა მსაჯულებმა ის ერთხმად უკვე აღიარეს დამნაშავედ. სასამართლო საბოლოო განაჩენს 20 დეკემბერს გამოიტანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 2. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება; 3. მდინარე ჩინეთში; 4. ავსტრალიური კენგურუ; 6. საკვების ულუფა, ნორმა გარკვეული ვადისთვის; 9. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 11. ლიტერატურისა და ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა; 15. რაიმე მოვლენის გამქრალი ნაშთი; 16. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 17. პატარა ხაზებისა და წერტილებისაგან შედგენილი წყვეტილი ხაზი; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. გერმანული ლუდი; 22. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა.

**თარაზულად:** 5. ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 8. „ფორმულა-1“-ში მოასპარეზე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 12. მდინარე ოზურგეთში; 13. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 14. გერმანული სამოსამსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 20. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 23. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 24. შვედური სამრეწველო-სავაჭრო კომპანია; 25. გულიანი, ხვეულა ნამცხვარი; 26. იტალიელი კომიკოსი; 27. გულის რიტმული მუშაობის დარღვევა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

